მატეი დოგანი

პოლიტიკური მეცნიერება და სხვა სოციალური მეცნიერებები

შინაარსი

I სპეციალიზაცია, ფრაგმენტაცია, ჰიბრიდიზაცია 4
ა. ინტერდისციპლინური კვლევა თუ მეცნიერებათა ფრაგმენტების რეკომბინაცია 5
ბ. სპეციალიზაცია და ფრაგმენტაცია 6
გ. სპეციალიზაცია ჰიბრიდიზაციის შიგნით 8
II მომიჯნავე დისციპლინებისაგან სესხება 10
ა. ცნებათა დიფუზია დისციპლინათა შორის 11
ბ. დისციპლინათა გამჭოლი თეორიები 14
გ. მეთოდების სესხება 21
III ჰიბრიდული სფეროები 24
ა. პოლიტიკური ფსიქოლოგია 25
ბ. პოლიტიკური გეოგრაფია 27
გ. პოლიტიკური სოციოლოგია 29
დ. როგორ დაიპყრო პოლიტიკურმა მეცნიერებამ ეკონომიკის ტერიტორია 30
ე. პოლიტიკური ანთროპოლოგიიდან ჰიბრიდული რეგიონული კვლევებისაკენ 34
ვ. პოლიტიკური განვითარება საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებების მიჯნაზე 37
ზ. შედარებითი პოლიტიკა, როგორც ჰიბრიდული სფერო 42
IV დასკვნა 47

პოლიტიკური მეცნიერების საგანი „ძნელად განსასაზღვრი, ამორფული და ჰეტეროგენულია“. ფრედ გრინსტაინმა და ნელსონ უ. პოლსბიმ (Greenstein and Polsby 1975: 1), *პოლიტიკური მეცნიერების სახელმძღვანელოს* გამომცემლებმა, კრებულს სწორედ ეს დიაგნოზი წაუმძღვარეს. ოცი წლის შემდეგ პოლიტიკურ მეცნიერებათა ძირითად მახასიათებლებად შეიძლება ჩაითვალოს სპეციალიზაცია, ფრაგმენტაცია და ჰიბრიდიზაცია. მისი საზღვრები ღია, მოქნილი და განუსაზღვრელია. სპეციალიზაციის პროცესმა გამოიწვია მზარდი ფრაგმენტაცია ქვედისციპლინებად, რომლებიც „ამორფული“ კი არა, შეიძლება ითქვას, კარგად ორგანიზებული და შემოქმედებითი არიან. „ჰეტეროგენულობა“ ფრიად გაამდიდრა მომიჯნავე დისციპლინებთან სამეცნიერო ურთიერთკავშირმა, სხვადასხვა სოციალური მეცნიერების სპეციალურ დარგებს შორის გაცვლა-გამოცვლამ. ურთიერთგამდიდრების ეს პროცესი ჰიბრიდიზაციის მეშვეობით მიიღწევა.

სინამდვილეში, პოლიტიკურ მეცნიერებასა და სხვა სოციალურ მეცნიერებათა შორის კავშირი გულისხმობს ურთიერთობას სხვადასხვა დისციპლინის სექტორებს და არა მთელ დისციპლინებს შორის. ეს არაა „ინტერდისციპლინური“ წამოწყება. ვინაიდან წინსვლა შეუძლებელია სპეციალიზაციის გარეშე, შემოქმედებითი გაცვლა ხდება სპეციალიზებულ ქვედარგებს შორის, ძირითადად, ფორმალური დისციპლინების საზღვრებზე. სოციალურ მეცნიერებათა დღევანდელი მიღწევები მნიშვნელოვანწილად შეიძლება აიხსნას მეცნიერების სეგმენტების ჰიბრიდიზაციით. პოლიტიკური მეცნიერების ისტორია და მისი თანამედროვე მიღწევები წარმოუდგენელი იქნებოდა სხვა სოციალურ მეცნიერებებთან თანამშრომლობის გარეშე.

I სპეციალიზაცია, ფრაგმენტაცია, ჰიბრიდიზაცია

უნდა განვასხვავოთ სპეციალიზაცია ფორმალური დისციპლინის ფარგლებში და სპეციალიზაცია მონოდისციპლინური ქვედარგების მიჯნაზე. ჰიბრიდიზაცია ამ უკანასკნელ სფეროში შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც დისციპლინა სრულად განვითარდება. მეცნიერების ისტორიაში შეიმჩნევა ორმხრივი პროცესი: ერთი მხრივ, ფორმალური დისციპლინის ფრაგმენტაცია და, მეორე მხრივ, ფრაგმენტაციის შედეგად მიღებული სპეციალობების რეკომბინაცია. ახლად წარმოქმნილი ჰიბრიდული სფერო შეიძლება დამოუკიდებელი გახდეს, როგორც, მაგალითად, პოლიტიკური ეკონომია, ან განაგრძოს განვითარება ორმაგი დისციპლინური კუთვნილების ფარგლებში, მაგალითად, პოლიტიკური გეოგრაფიის მსგავსად. უკანასკნელ შემთხვევაში, ვერ იქნები დარწმუნებული იმაში, თუ რომელ კატეგორიას მიაკუთვნო ესა თუ ის ნაშრომი – გეოგრაფიას თუ პოლიტიკურ მეცნიერებას.

კრიტერიუმად შეიძლება მივიჩნიოთ კონკრეტულ გამოკვლევაში ამა თუ იმ კომპონენტის უპირატესობა ან ის, თუ ფორმალურად რომელი დისციპლინის წარმომადგენელია ავტორი. პოლიტიკური ანთროპოლოგია ანთროპოლოგიის განშტოებაა, მაგრამ ამავე დროს პოლიტიკური მეცნიერების ქვედარგიცაა. სად მთავრდება ისტორიული სოციოლოგია და სად იწყება სოციალური ისტორია? მით უფრო ძნელია, ვიყოთ დარწმუნებულნი იმ შემთხვევაში, როცა ვაწყდებით სამმხრივ რეკომბინაციას. ვინაიდან შეფარდებითი პროპორციები ყოველთვის აშკარა არ არის, სპეციალობათა ნათესაობის ხარისხი კი საგრძნობლად ვარირებს, სადავოა, თუ რომელ ძირითად დარგს უნდა მივაკუთვნოთ ესა თუ ის ნაშრომი.

ა. ინტერდისციპლინური კვლევა თუ მეცნიერებათა ფრაგმენტების რეკომბინაცია

ზოგიერთი მკვლევარი განადიდებს „ინტერდისციპლინურობას“. ასეთი რეკომენდაციის ავტორები, როგორც წესი, ყველაზე უფრო პროდუქტიული მეცნიერები არიან, რომლებიც კარგად ხედავენ დისციპლინათა შორის ჩარჩოების არსებობით გამოწვეულ პრობლემებს. მაგრამ ეს რეკომენდაცია არ არის რეალისტური. დღესდღეობით შეუძლებელია, რომ ვინმეს ჰქონდეს სრულყოფილი ცოდნა ერთზე მეტ დისციპლინაში. უტოპიურია ორი ან მეტი დისციპლინის ოსტატურად ათვისების სურვილი. ვინაიდან ინტერდისციპლინური კვლევის იდეა შეიცავს მთლიანი დისციპლინების დაუფლებისა და მათი კომბინირების უნარს, ის ილუზორულია.

იმდენად, რამდენადაც ცალკეული მკვლევრისათვის ასე რთულია, იკვლიოს ჭეშმარიტად მულტიდისციპლინურად, ზოგიერთი მეთოდოლოგია მხარს უჭერს ერთობლივ კვლევებს. ამას გვათავაზობს პიერ დე ბი იუნესკოს მიერ გამოცემულ მონუმენტურ ნაშრომში (ყე 1970). სამეცნიერო ჯგუფების შრომა პროდუქტიულია დიდ კვლევით ცენტრებში, მაგრამ სოციალურ მეცნიერებათა სფეროში ასეთი შედეგები პრაქტიკულად ძნელი მისაღწევია. წარმატებული ჯგუფური ნაშრომის ერთადერთი მაგალითია მონაცემების დამუშავება ან შეგროვება და ძალიან იშვიათად - მათი ინტერპრეტაცია ან სინთეზი (ამ მხრივ გამონაკლისი არქეოლოგიაა).

მულტიდისციპლინური მიდგომა ილუზორულია იმიტომ, რომ ის რეალობის დანაწევრების მომხრეა. ზოგიერთი მკვლევარი ანაცვლებს ერთმანეთს ფილოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, ისტორიულ, ეთნოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ მიდგომებს. მიდგომათა ეს მონაცვლეობა, რომელიც თითქმის არსადროს იძლევა დისციპლინათა გადაკვეთის შესაძლებლობას, საუკეთესო შემთხვევაში სრულდება გამოსადეგი პარალელიზმით, მაგრამ არა

სინთეზით. სინამდვილეში კვლევა რამდენიმე დისციპლინის გამოყენებით მოიცავს დისციპლინათა სეგმენტების კომბინაციას, სპეციალობებს და არა მთლიან დისციპლინას. მოიძებნება პროდუქტიული შეხების წერტილი სექტორებს და არა დისციპლინურ ჩარჩოებს შორის. სოციალურ მეცნიერებებში, თანამედროვე მიღწევათა გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სიტყვა „ინტერდისციპლინური“, არაადეკვატურია. მას ზედაპირულობისა და დილეტანტიზმის ელფერი დაჰკრავს და, ამდენად, ჯობს თავი ავარიდოთ მას და ვიხმაროთ სხვა ტერმინი, კერძოდ, მეცნიერებათა ფრაგმენტების ჰიბრიდიზაცია.

ბ. სპეციალიზაცია და ფრაგმენტაცია

კარტეზიანული თვალსაზრისით, ანალიზი მთლიანის დანაწევრებას ნიშნავს. XVI საუკუნიდან მოყოლებული, შინაგანმა დიფერენციაციამ და ახლადაღმოცენებული დარგების ურთიერთწახალისებამ განაპირობა მეცნიერების განვითარება, დაწყებული ასტრონომიიდან, ზოოლოგიით დამთავრებული. თითოეული სპეციალობა ავითარებს დაგროვილ ცოდნას სამყაროს მისეული გაგების შესაბამისად. მეცნიერული მემკვიდრეობის ზრდასთან ერთად, სპეციალიზაცია იქცა აუცილებლობად და არა არჩევანად. სპეციალიზაციაზე მზარდმა ფოკუსირებამ გამოიწვია სუბდისციპლინების შექმნა, რომელთა უმეტესობაც დროთა განმავლობაში ავტონომიური გახდა.

ლიტერატურაში ხშირად გამოითქმის შეშფოთება პოლიტიკური მეცნიერების ფრაგმენტაციის გამო. მე მხოლოდ ორ მაგალითს მოვიტან: „დღეს აღარ არსებობს ერთი, უპირატესი თვალსაზრისი... დისციპლინა ფრაგმენტირებულია მეთოდოლოგიურ კონცეფციებად... სტუდენტებს უჭირთ დაბეჯითებით თქმა, თუ რა არის პოლიტიკა“ (ასტინ ანდ შეპერდ 1991: 49). ჩრდილოეთის ქვეყნებში „პოლიტიკურ მეცნიერებაში გაჩნდა ქვესფეროებად დეზინტეგრაციის ტენდენცია, მაგრამ ეს კვლავინდებურად პოლიტიკური

მეცნიერების ქვესფეროებია. მიუხედავად ამისა, დეზინტეგრაციის პროცესი გრძელდება და უკანასკნელ ხანებში იძენს პოლიტიკური მეცნიერების იდენტობის უარყოფის ფორმას" (ნკარ1987: 72).

სინამდვილეში ფრაგმენტაცია სპეციალიზაციის შედეგია. დისციპლინის დაყოფა ქვესფეროებად იწვევს ინსტიტუციონალიზაციას, ამასვე ასახავს პოლიტიკურ მეცნიერებათა მსხვილი განყოფილებების არსებობა ამერიკისა და ევროპის არაერთ უნივერსიტეტში. დისციპლინის ფრაგმენტაციის კარგი ინდიკატორია სპეციალიზებული ჟურნალების მზარდი რაოდენობა. უკანასკნელი თორმეტი წლის განმავლობაში გაჩნდა 100 მნიშვნელოვანი სპეციალიზებული ინგლისურენოვანი ჟურნალი. მათი უმრავლესობა კვეთს ორი ან სამი დისციპლინის საზღვრებს. ბევრი მათგანი ევროპული გამოცემაა. რამდენიმე ახალი ჰიბრიდული ჟურნალი გაჩნდა საფრანგეთსა და გერმანიაშიც. ევროპულმა უნიფიკაციამ გავლენა იქონია სახელმწიფოთაშორისი ჟურნალების გამოცემაზე, რომლებიც ცალკეულ დარგებზეა ფოკუსირებული.

მზარდმა სპეციალიზაციამ შესაძლოა იმოქმედოს ეროვნული პროფესიული გაერთიანებებისა და ზოგადი ხასიათის ჟურნალების როლზე.

„პოლიტიკური მეცნიერების სფეროში მოღვაწე მკვლევართა სპეციალიზაციის ზრდასთან ერთად, ამერიკის პოლიტიკური მეცნიერების ასოციაციის (შ) ზოგიერთი წევრი ასკვნის, რომ მათ ინტერესებს უკეთ წარმოაჩენს სხვა ორგანიზაციები. მაგალითად, მმართველობის შედარებითი კვლევის სპეციალისტებმა შეიძლება დაასკვნან, რომ მათ გაცილებით მეტი აქვთ საერთო იმავე სფეროში მომუშავე ეკონომისტებთან, სოციოლოგებთან და ანთროპოლოგებთან, ვიდრე პოლიტიკური მეცნიერების სხვა სფეროთა წარმომადგენლებთან. ამან შეიძლება დასცეს *American Political Science Review*-ის მნიშვნელობა... სპეციალიზაციამ გააუფასურა შ -ს წევრობის მოტივაცია (ყნნ 1983: 114-15).

იგივე ფენომენი შეიმჩნევა ევროპაში. ეროვნული პროფესიული გაერთიანებები თმობენ პოზიციებს სახელმწიფოთაშორისი

ორგანიზაციების სასარგებლოდ, რაც სხვადასხვა დისციპლინებში მიმდინარე თემატური სპეციალიზაციის ამსახველია.

გ. სპეციალიზაცია ჰიბრიდიზაციის შიგნით

ჩვენ უნდა ვეცადოთ, წარმოვაჩინოთ პროცესის ორივე მხარე: სპეციალურ სფეროებად ფრაგმენტაცია და სპეციალიზაცია ჰიბრიდიზაციის გზით. სწორედ ამ ორი ნაწილის ურთიერთქმედებამ, და არა თითოეულმა მათგანმა ცალ-ცალკე, ხელი შეუწყო როგორც საბუნებისმეტყველო, ისე სოციალური მეცნიერებების საგრძნობ წინსვლას. პოლიტიკური მეცნიერებისა თუ სხვა სოციალურ მეცნიერებათა მიმდინარე რესტრუქტურიზაცია ამ ორი ურთიერთდაპირისპირებული პროცესის შედეგია. მიუხედავად ამისა, ფრაგმენტაცია და მასთან დაკავშირებული ჰიბრიდიზაცია, პოლიტიკურ მეცნიერებაში გაცილებით უფრო გვიან განვითარდა, ვიდრე სხვა დარგებში. შორეულ წარსულში ჰიბრიდული სფეროები მთლიან დისციპლინათა შორის არსებული სიცარიელის შედეგი იყო. დღეს სიცარიელე ჩნდება მომიჯნავე სუბდისციპლინათა სპეციალიზებულ ქვესფეროებს შორის. დისციპლინების სპეციალიზებულ ქვესფეროებად ფრაგმენტაციას უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში შედეგად მოჰყვა ჰიბრიდული სპეციალობების განვითარება. აუცილებლი როდია, რომ ჰიბრიდული სპეციალობები ორი დამოუკიდებელი დისციპლინის გასაყარზე განთავსდეს. ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ პოლიტიკური მეცნიერების ერთი სექციის ანკლავს სხვა დისციპლინის სექტორში. ჰიბრიდული სპეციალობები ორი დამოუკიდებელი სფეროს კომბინაციაა და არა მთლიანად დისციპლინისა. ეს დისციპლინები საჭიროებენ ურთიერთადაპტირებას.

ჰიბრიდიზაცია მჟღავნდება პოლიტიკური მეცნიერების საერთაშორისო ასოციაციის ხელშეწყობით მოქმედი კვლევითი კომიტეტის ნუსხაში. 1995 წლისათვის ორმოცი აღიარებული ჯგუფიდან უმრავლესობა კავშირშია სხვა დისციპლინების სპეციალობებ-

თან და, ამდენად, ჰიბრიდულია: პოლიტიკური სოციოლოგია, პოლიტიკური ფილოსოფია, პოლიტიკური გეოგრაფია, ფსიქოპოლიტიკა, რელიგია და პოლიტიკა, პოლიტიკური და სოციალური ელიტები, შეიარაღებული ძალები და პოლიტიკა, პოლიტიკური გაუცხოება, პოლიტიკა და ეთნიკურობა, პოლიტიკური განათლება, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია, საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი, შედარებითი სამართლისმცოდნეობა, ბიოლოგია და პოლიტიკა, ბიზნესი და პოლიტიკა, სოციოპოლიტიკური პლურალიზმი, ჯანდაცვის პოლიტიკა, გენდერული როლები და პოლიტიკა, გლობალური გარემოს ცვლილებები, კონცეპტუალური და ტერმინოლოგიური ანალიზი და სხვა. ამ ჯგუფებიდან ნებისმიერს კონტაქტი აქვს ფორმალურად სხვა დისციპლინების წარმომადგენლებთან.

სოციომეტრული კვლევები აჩვენებს, რომ სპეციალისტთა დიდი ნაწილი უფრო მეტად თანამშრომლობს კოლეგებთან, რომლებიც ოფიციალურად სხვა დისციპლინებს წარმოადგენენ, ვიდრე საკუთარი დარგის სპეციალისტებთან. რობერტ მენტონი, დაიანა კრეინი და მეცნიერების სხვა სოციოლოგები ახასიათებენ „უხილავ კოლეჯს“, როგორც უპირატესად ინტერდისციპლინურ ინსტიტუტს, რადგან ის უზრუნველყოფს კომუნიკაციას არა მხოლოდ უნივერსიტეტებს შორის მთელ მსოფლიოში, არამედ, უპირველს ყოვლისა, სპეციალისტებს შორის, რომლებიც ადმინისტრაციულად განსხვავებულ დისციპლინებს წარმოადგენენ. დისციპლინათშორისი გავლენის ეს ქსელები ისეთია, რომ აბათილებს სოციალური მეცნიერების ძველ კლასიფიკაციას.[1]

---

[1] მართლაც, ჩვენ შეგვიძლია შევადგინოთ საერთაშორისო „პოლიტიკური მეცნიერების გენეალოგიური ხე“. „შვედურ პოლიტიკურ კვლევებში 1945 წლამდე დომინირებდა სამი ძირითადი მიმართულება. თითოეული მათგანი ორიენტირებული იყო სხვა აკადემიურ დისციპლინაზე: კონსტიტუციურ სამართალზე, ისტორიაზე, ფილოსოფიაზე“ (ღუნ 1982: 299). „თუკი წარსულში პოლიტიკური მეცნიერება ფილოსოფიის, სამართლისმცოდნეობის, ისტორიისა და მსგავსი დისციპლინების წიაღში აღმოცენებული ნააზრევის ძლიერ ზემოქმედებას განიცდიდა... დღეს ინდოეთში პოლიტიკური მეცნიერების

II მომიჯნავე დისციპლინებისაგან სესხება

ჰიბრიდაზაციის ამგვარი პროცესი, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ცნებების, თეორიებისა და მეთოდების სესხებასა და შეთვისებაში. შეთვისების პროცესის მიმოხილვა შორს წაგვიყვანდა. ამიტომაც თავს ავარიდებ ამგვარ მიმოხილვას. ასეა თუ ისე,

---

ვერც ერთი მასწავლებელი ვერ გავა ფონს, თუ არ ექნება გათვითცნობიერებული ისეთი დისციპლინების უკანასკნელი მიღწევებში, როგორიცაა სოციოლოგია, სოციალური ანთროპოლოგია, ეკონომიკა, მენეჯმენტი და საჯარო ადმინისტრირება“ (არინ ანდ ატჰურ 1982: 197). ნიდერლანდში პოლიტიკის მკვლევარი „პროფესორ-მასწავლებელთა დაახლოებით ნახევარი ადრე მუშაობდა არა პოლიტიკური მეცნიერების, არამედ სხვა სფეროში, ძირითადად სოციოლოგიასა და იურისპრუდენციაში“ (ოზერწ ერ 1982: 227) სკანდინავიაში „ჩვეულებრივ, თეორეტიზაციის მცდელობა, სტილისა და ორიენტაციის მხრივ, კვლავაც სოციოლოგიის ძლიერ გავლენას განიცდის. პოლიტიკური ანალიზისათვის აშკარად სოციოლოგიური სისტემა შეიმუშავეს ერიკ ალარდტმა ფინეთში, ულფ ჰიმელშტრანდტმა შვედეთში, ვილჰელმ აუბერთმა, იოჰან გალტუნგმა, სტეინ როკანმა, ულფ ტორგერსენმა, ფრანჩესკო კიელბერმა და ოვინდ ოესტერუდმა ნორვეგიაში. ეს ნაშრომი სოციოლოგიისა და პოლიტიკის ზღვარზე წარმოებული სხვა გამოკვლევების მსგავსია (უჰნლ 1982: 259). ადრე შეერთებულ შტატებში პოლიტიკურ მეცნიერებას „არ ჰქონდა გამოკვეთილი მეთოდოლოგია. მას არ გააჩნდა მკაფიოდ განსაზღვრული საგანი, რომლის გამოკვლევაც ვერ მოხერხდებოდა ერთი ან მეტი მონათესავე დისციპლინის ფარგლებში. პოლიტიკური მეცნიერების სხვადასხვა განშტოებები შენარჩუნებული იყო უბრალოდ პოლიტიკური ისტორიის, პოლიტიკური სოციოლოგიის, პოლიტიკური გეოგრაფიის, პოლიტიკური ფილოსოფიისა და პოლიტიკური ფსიქოლოგიის ანუ სხვა დისციპლინების ქვესფეროების სახით. დანარჩენ მიმართულებებს კვლავინდებურად წარმოადგენდა კონსტიტუციური, სამოქალაქო და საერთაშორისო სამართალი. ყოველივე ზემოთქმული სინამდვილეს შეესაბამება. სოციალური მეცნიერების ყველა დანარჩენი დისციპლინა შეიცავს პოლიტიკური მეცნიერების ნაწილს“ (ნდრუწ 1988: 2).

პოლიტიკური მეცნიერება ყოველთვის უფრო მეტს სესხულობდა, ვიდრე გასცემდა.

ა. ცნებათა დიფუზია დისციპლინათა შორის

1832 წელს გამოვიდა სერ ჯორჯ კორნუელ ლუისის ნაშრომი *ზოგიერთი პოლიტიკური ტერმინი და მათი მცდარი გამოყენება* (ეწ ძ 1832), 1984 წელს კი ჯოვანი სარტორის რედაქციით გამოქვეყნდა კრებული *სოციალურ მეცნიერების ცნებები* (შარტორ 1984). საუკუნე-ნახევრის განმავლობაში, რომელმაც განვლო ამ ორ გამოცემას შორის უამრავმა მკვლევარმა დაიჩივლა კონცეპტუალური გაურკვევლობისა და ტერმინების მრავალმნიშვნელოვნების შესახებ სხვადასხვა დისციპლინებში, კერძოდ, პოლიტიკურ მეცნიერებაში. ამ მრავალმნიშვნელოვნების ერთ-ერთ მიზეზის შესახებ სარტორი ამგარად წერს (შარტორ 1984: 17): „ჩვენ ვერ ვაყალიბებთ წინადადებას, თუკი წინასწარ არ ვიცით მისი შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობა... სიტყვები ვერ *შეიძენენ* მნიშვნელობას იმის შესაბამისად, თუ როგორ წინადადებაშია ისინი ნახმარი, თუმცა სიტყვის მნიშვნელობა *განისაზღვრება* წინადადებით, რომელშიც ის არის ჩართული“.

ამ სემანტიკური პრობლემის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ერთი დისციპლინიდან მეორეში „მოხეტიალე“ ცნებებიდან მომდინარეობს. ნასესხებ ცნებებს ახალი დისციპლინის კონტექსტთან ადაპტაცია სჭირდებათ, რადგან ცნება არის არა მხოლოდ ტერმინი, არამედ ერთგვარი იდეაც. ახლახან ჩატარებულმა გამოკვლევამ, რომელიც სოციალურ მეცნიერებებში ხმარებული 400-ზე მეტი ცნებას შეისწავლიდა, გამოავლინა რამდენიმე ნეოლოგიზმი (ლ ოლურ 1990: 271) და ეს შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ ცნებათა უმრავლესობა ნასესხებია და არა შექმნილი. ზოგიერთი ცნება რეანიმირებულია ხანგრძლივი მივიწყების შემდეგ. მაქს ვებერმა საუკუნის შემდეგ ააღორძინა უგულებელყოფილი

ცნება „ხარიზმა“. დევიდ აპტერმა ხმარებაში შემოიტანა ცნება „კონსოციაციური ორგანიზაცია“, რომელიც თვადაპირველად შოტლანდიაში პრესვიტერიანულ ინსტიტუტებთან მიმართებაში გამოიყენებოდა. მან ეს ცნება უგანდაში მიმდინარე პოლიტიკური კონფლიქტის გასაანალიზებლად გამოიყენა. შემდგომ ცნება განავითარა არენდტ ლიპჰარტმა და ბევრმა სხვამ მცირე ევროპულ დემოკრატიებთან, კანადასა და სამხრეთ აფრიკასთან მიმართებაში.

ჩვენ შეგვიძლია, უგულებელვყოთ ცნების ეტიმოლოგია, რათა წარმოვაჩინოთ, თუ რამდენად შეუძლია სესხებას წარმოსახვის სტიმულირება. სიტყვა „როლი“ თეატრიდან მომდინარეობს, მაგრამ მაქს ვებერმა მას სოციოლოგიური მნიშვნელობა მიანიჭა. სოციოლოგიიდან ეს ცნება ყველგან გავრცელდა. სიტყვა „რევოლუცია“ კოპერნიკის შემოთავაზებულია, მაგრამ ის პირველად პოლიტიკას ლუი XIV-მ მიუსადაგა. ისტორიკოსებმა შეითვისეს ეს ცნება, სოციოლოგებმა კი აამოქმედეს, ვიდრე მას პოლიტიკურ მეცნიერებას უსახსოვრებდნენ.

პოლიტიკური მეცნიერების მემკვიდრეობა სავსეა ნასესხები ცნებებით, რომლებიც ჰიბრიდულია იმ გაგებით, რომ ისინი აღმოცენებულია სხვა დისციპლინების წიაღში, შემდეგ კი ოსტატურადაა გადანერგილი პოლიტიკურ მეცნიერებაში. მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელმა საკუთარი მოხმარებისთვის შექმნა მნიშვნელოვანი ცნებების გრძელი მწკრივი, რომელთაგან უძველესია „ძალაუფლება“, ჩამოყალიბებული არისტოტელეს მიერ, ყველაზე ახალგაზრდა კი - „დაშლა“ („იმპლოზია“), ნაკარნახევი საბჭოთა კავშირის დაცემით.

გამოვიყენე რა „სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო ენციკლოპედია“ (შილს 1968) და ზოგიერთი მნიშვნელოვანი წიგნის ანალიტიკური საძიებლები, შევადგინე პოლიტიკურ მეცნიერებაში შემოტანილი 200-ზე მეტი ცნების ნუსხა. შემოღებისა და შეთვისების პროცესში ბევრმა ამ ცნებათაგან შეიცვალა სემანტიკური მნიშვნელობა. პოლიტიკურმა მეცნიერებამ სხვა დისციპლინებისაგან ისესხა შემდეგი მნიშვნელოვანი ცნებები (არაპროფესიული ტერმინების გამოკლებით):

- სოციოლოგიიდან: აკომოდაცია, აგრეგატი, ასიმილაცია, ელიტების ცირკულაცია, ხროვა, შეკავშირებულობა (ცოჰესიონ), კოლექტიური ქცევა, იერარქია, იდეალური ტიპი, ინდივიდუალიზმი, ლეგიტიმურობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მასობრივი საზოგადოება, მილიტარიზმი, ნაციონალიზმი, საკონტროლო ცვლადები (პარციალ ვარიაბლს), პროტესტანტული ეთიკა, სეკულარული, სეგრეგაცია, სოციალური კლასი, სოციალური კონტროლი, სოციალური ინტეგრაცია, სოციალური სტრუქტურა, სოციალიზაცია, სტატუსის შეუთავსებლობა, მუშათა კლასი, ემ ეინსკჰაფტ ესელსკჰაფტ
- ფსიქოლოგიიდან: აფექტი, გაუცხოება, ამბივალენტურობა, ასპირაცია (მოლოდინი), ატიტუდი, ქცევა, ცნობიერი, დამოკიდებულება (დეპენდენცყ), ემპათია, პიროვნება, სოციალური მოძრაობა, სტერეოტიპი, გეშტალტი.
- ეკონომიკიდან: რესურსების განთავსება, კარტელი, კორპორატივიზმი, კლებადი უკუგება, ინდუსტრიული რევოლუცია, ინდუსტრიალიზაცია, ლიბერალიზმი, მერკანტილიზმი, მთლიანი ეროვნული პროდუქტი, დეფიციტი, დაბალგანვითარებული რეგიონები.
- ფილოსოფიიდან და ძველი საბერძნეთისგან: ანარქიზმი, არისტოკრატია, კონსენსუსი, დემოკრატია, ფრაქცია, თავისუფლება, საერთო ნება, იდეალიზმი, მონარქია, ოლიგარქია, ფრატრია, პლურალიზმი. ტირანია, ღირებულება, მსოფლმხედველობა (ჭ ეფინსკჰაუუნგ).
- ანთროპოლოგიიდან: აკულტურაცია, მონათესავე (ალუნიცყ), კასტა, ნეპოტიზმი, პატრიარქატი, პლურალისტული საზოგადოება, რიტუალი (რიტუს ლ პასსაგე).
- თეოლოგიიდან: ანომია (საღვთო რჯულის უგულებელყოფა), ხარიზმა.
- ჟურანალისტებისა და პოლიტიკოსებისგან: იმპერიალიზმი, ინტერნაციონალიზმი, იზოლაციონიზმი, მემარჯვენეობა-მემარცხენეობა, ლობირება, ნეიტრალიტეტი, ნიჰილიზ-

მი, პატრონაჟი, პლებისციტი, პროპაგანდა, სოციალიზმი, სინ-
დიკალიზმი.

ბევრ ცნებას წარმოშობის რამდენიმე წყარო აქვს. „ავტორიტა-
რიზმს“ ორი ძირი აქვს - ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური. ხშირად ავტორიტარიზმი უნებლიედ ირევა დესპოტიზმის, ავტოკ-
რატიის, აბსოლუტიზმის, დიქტატურის და სხვა ცნებებში. ცნება „ხელისუფლება“ გაანალიზებულია სხვადასხვა დისციპლინების თვალთახედვით, მალინოვსკის, ვებერის, პარსონსის, ლასველის, კაპლანის, ბ. დე ჟუვენელის და კ.ჯ. ფრიდრიხის მიერ. კულტუ-
რის ცნებას (სამოქალაქო, პოლიტიკური, ეროვნული) უამრავი ვა-
რიანტი აქვს: კულტურული კონვერგენცია, კულტურული კონფი-
გურაცია, კულტურული ევოლუცია, კულტურული ინტეგრაცია, კულტურული ჩამორჩენილობა, კულტურული პარალელიზმი, კულტურული პლურალიზმი, კულტურული რელატივიზმი, კულ-
ტურული სისტემა, პოსტმატერიალისტური კულტურა. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში პოლიტიკის მკვლევრები განსაკუთრე-
ბით პროდუქტიულნი იყვნენ ამ ქვედისციპლინაში.

ცნებათა ყველაზე ნაყოფიერი შემოქმედნი იყვნენ მაქს ვებე-
რი და კარლ მარქსი. ორივე, შეიძლება ითქვას, ჰიბრიდული მეც-
ნიერია. მათ მხოლოდ არისტოტელე თუ შეედრება. ასევე ცნებათა შთამბეჭდავი რაოდენობა შექმნეს ალმონდმა და პარსონსმა. ცნებე-
ბი ხშირად თეორიის თესლია: „სტრუქტურიდან“ აღმოცენდება „სტრუქტურალიზმი“, „სისტემა“ იქცევა „სისტემიზმად" (სისტემურ მეთოდოლოგიად). „კაპიტალი“ წარმოშობს „კაპიტალიზმს“ და ა.შ.

ბ. დისციპლინათა გამჭოლი თეორიები

პარადიგმა პოლიტიკურ მეცნიერებაში ისევე, როგორც სოცი-
ოლოგიაში, დანიშნულებისამებრ ან უადგილოდ ხშირად ხმარებუ-
ლი სიტყვაა, ნაცვლად ტერმინისა „თეორია“ ან „დიდი თეორია“. თომას კუნს, რომელმაც დაამკვიდრა ეს ტერმინი, ნამდვილად ეს-
მოდა, რომ სოციალურ მეცნიერებაში მისი გამოყენება გაუმარ-

თლებელია (Kuhn 1957: viii). *სამეცნიერო რევოლუციების სტრუქ-ტურის* (Kuhn 1957: viii) შესავალში იგი განმარტავს, რომ ეს პალო ალტოს უმაღლესი კვლევების ცენტრში მოხდა, სოციალურ მეცნი-ერებათა, მათ შორის პოლიტიკური მეცნიერების მკვლევართა სა-ზოგადოებაში: მას აზრად მოუვიდა „პარადიგმის“ ცნების ჩამოყა-ლიბება, ძირითადად იმ მიზნით, რომ კარდინალურად განესხვა-ვებინა საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებები. კუნის მიერ დასახელებული მიზეზი სოციალურ მეცნიერებათა დისციპ-ლინებს შიგნით თეორიული კონსენსუსის არარსებობა იყო. დღეს “თუ ვინმე მოისურვებს, დააკანონოს თავისი თეორია თუ მოდე-ლი, როგორც რევოლუციური მიღწევა, ყოველთვის გამოჩნდება ვინმე ისეთი, ვინც არ ისურვებს ამ დროშის ქვეშ დგომას“ (ჭ ეინგარ 1986: 270).

მოიძებნება კი სოციალურ მეცნიერებაში პარადიგმული ძვრების მაგალითი, რომელიც კოპერნიკის, ნიუტონის, დარვინისა თუ აინშტაინის მიღწევებს შეედრებოდა? შეიძლება თუ არა, რომ კეინსის, ხომსკის თუ პარსონსის თეორიებს პარადიგმული ეწოდ-ოს? ვითარდება თუ არა სოციალური მეცნიერებები პარადიგმული რევოლუციებითა და კუმულატიური პროცესებით? რეალურად არსებობს თუ არა პარადიგმები სოციალურ მეცნიერებებში?

ფორმალური დისციპლინის შიგნით შეიძლება არსებობდეს რამდენიმე ძირითადი თეორია, მაგრამ პარადიგმაზე საუბარი შე-იძლება მხოლოდ მაშინ, როცა მხოლოდ ერთი რომელიმე დადას-ტურებული თეორია დომინირებს სხვებზე და ის გაზიარებულია მთელი სამეცნიერო საზოგადოების მიერ. როცა პასტერმა მიკრობი აღმოაჩინა, დაიმსხვრა სპონტანური წარმოქმნის თეორია: ინფექცია (infection) ახალ პარადიგმად თავისთავად იქცა. სოციალურ მეცნი-ერებებში ჩვენ, საუკეთესო შემთხვევაში, ვხედავთ რამდენიმე არ-ადამტკიცებადი თეორიის კონფრონტაციას. უმეტესად ეს კონ-ფრონტაციაც კი არაა, არამედ ურთიერთიგნორირებაა, რაც მეტ-ნაკლებად გასაგებია სამეცნიერო საზოგადოებების და მისი სკო-ლების რაოდენობიდან გამომდინარე. ეს ეხება ყველა ქვეყანას, დიდსა თუ პატარას.

სოციალურ მეცნიერებებში ურთიერთუგულებელყოფას დიდი ხანია მიმართავენ. საუკუნეების მიჯნაზე დიდ მეცნიერებს არ ჰქონდათ ურთიერთობა, ან თუ ჰქონდათ კონტაქტი, ძალიან მცირე. ვებერის ნაწერები არ შეიცავს გამოხმაურებას მისი თანამედროვის დიურკჰეიმის ნაშრომებზე. თუმცა ვებერი იცნობდა დიურკჰეიმის მიერ გამოცემულ ჟურნალს *L'anneé sociologique*. თავის მხრივ, დიურკჰეიმს, რომელიც კითხულობდა გერმანულად, მხოლოდ ერთგან, გაკვრით ჰყავს მოხსენიებული ვებერი და ეს მაშინ, როცა ისინი მუშაობდნენ არაერთ საერთო თემაზე, მაგალითად რელიგიაზე. დიურკჰეიმი ასევე გაკვრით ახსენებს ზიმელსა და ტეონისს. პარეტოს მიერ ხისტად გაკრიტიკებული დიურკჰეიმი არასდროს მიმართავდა პარეტოს ნაშრომებს. პარეტოს აზრი დიურკჰეიმის წიგნზე თვითმკვლელობის შესახებ უარყოფითი იყო. „სამწუხაროდ, - წერდა პარეტო, - მის არგუმენტებს აკლია დამაჯერებლობა“ (ციტირებულია ვალადეს მიხედვით. Vaades 1990: 207).

როგორც ჩანს, ვებერმა არაფერი იცოდა ელიტების ცირკულაციის პარეტოსეულ თეორიაზე. პარეტო კი, თავის მხრივ, არაფერს ამბობს პოლიტიკური ლიდერობის ვებერისეულ თეორიაზე. ვებერი და კროჩე ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ და ეს შეხვედრაც ხანმოკლე იყო. არ არსებობდა კავშირი ვებერსა და ფროიდს შორის. ერნსტ ბლოხი და გეორგ ლუკაჩი რეგულარულად ხვდებოდნენ ვებერს ჰაიდელბერგში, მაგრამ მათ შრომებს ვებერის გავლენის ნიშანწყალიც არ ეტყობა. საერთოდ არ ჰქონდათ ურთიერთობა ვებერსა და შპენგლერს. ვებერის თანამედროვეთაგან ერთადერთი კარლ იასპერსია, ვინც იმოწმებდა ვებერის შრომებს, მაგრამ ის ფილოსოფოსი იყო (იხ. Ashman and Pinsent 1987). როგორც რაიმონ არონმა აღნიშნა, სამივე დიდი მეცნიერი „საცალფეხო ბილიკს“ მიუყვებოდა.

მეცნიერთა ურთიერთგავლენის გარეშე თანაარსებობის ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუნდაც ენგუს კემპბელისა და პაულ ლაზარსფელდის, რომლებსაც არ მოუხდენიათ ერთმანეთზე გავლენა, თუმცა ცხოვრების დიდი ნაწილი ერთი და იმავე საკითხის - პოლიტიკური ქცევის შესწავლას დაუთმეს. იგივე ითქმის

სხვა თემატურ სფეროებთან დაკავშირებითაც. არაფერია ცუდი ერთი თეორიის მეორესთან დაპირისპირებაში, მაგრამ ეს კამათის საგნად უნდა იქცეს. სოციალურ მეცნიერებებში არ არსებობს პარადიგმები, რადგან ყოველი დისციპლინა ფრაგმენტირებულია.

პარადიგმად ქცევისათვის კიდევ ერთი პირობაა საჭირო: თეორია უნდა ეხებოდეს სოციალური რეალობის არსებით ასპექტებს. თუმცა რაც უფრო ამბიციურია თეორია, მით უფრო ძნელია მისი შემოწმება უშუალოდ ხელმისაწვდომი მონაცემებით. სოციალურ მეცნიერებებში არ არსებობს „ფუნდამენტური აღმოჩენები", როგორც ეს ზოგჯერ ხდება ხოლმე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ამის ნაცვლად იგება თეორიები, რომელთა დადასტურებაც შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ თავად სოციალური რეალობა იცვლება. აგრეთვე, რაც უფრო მნიშვნელოვანია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში წამყვანი სპეციალისტების შეცდომები უმეტეს შემთხვევაში მეთოდოლოგიური ხასიათისაა, სოციალურ მეცნიერებებში კი - ფუნდამენტური.

მაგალითად, ავიღოთ თუნდაც მალთუსიანობა. რა არის ეს – თეორია თუ პარადიგმა? მალთუსიანობა სოციალური მეცნიერების ისტორიაში ერთ-ერთი უმთავრესი თეორიაა. მალთუსმა გავლენა მოახდინა ბევრ მეცნიერზე, პირველ რიგში ჩარლზ დარვინზე, რომლის გაგებითაც ეს თეორია მისი შთაგონების მთავარი წყარო იყო. უამრავი სოციოლოგი, პოლიტიკის მკვლევარი, დემოგრაფი და ეკონომისტი მალთუსის თეორიით საზრდოობდა, განურჩევლად იმისა, იზიარებდა თუ არა მას. თუმცა, როცა დასავლეთში შეიცვალა დემოგრაფიული პირობები, მალთუსის წარმოდგენებმა ძალა დაკარგა და ის ცრუ წინასწარმეტყველად შერაცხეს. თუ განვიხილავთ ეკონომიკურ განვითარებასა და მოსახლეობის ზრდას შორის დღეს არსებულ სხვაობას აფრიკაში, აზიასა ან ლათინურ ამერიკაში, მალთუსი შეიძლება დიდ ნათელმხილველად გამოცხადდეს. საჭიროა მხოლოდ მალთუსის დროის ინგლისისა და თანამედროვე მესამე სამყაროს შედარების ასინქრონულობის გათვალისწინება იმის საღიარებლად, რომ მალთუსის თეორია ასინქრო-

ნულად ვალიდურია. გვავალდებულებს კი ეს უფრო შორს წავიდეთ და ვილაპარაკოთ მალთუსის პარადიგმაზე?

იქნებ სოციალურ მეცნიერებაში კუმულატიური პროგრესი მაინც არსებობს? ცხადია, არის ასეთი პროგრესი, რადგან დისციპლინას აქვს ცნებების, მეთოდების, თეორიებისა და პრაქტიკის საკუთარი მემკვიდრეობა. ამას ვერავინ უარყოფს, გინდ პროფესიონალი იყოს და გინდ მოყვარული. კუმულაციური პროგრესი თეორიულ სფეროშიც კი შეიმჩნევა. მაშინაც კი, როცა თეორია მოძველდება ან ძალას დაკარგავს, რადგან ძირითადად შეცდომებზე სწავლობენ, მისგან რჩება რაღაც, რასაც ახალი თეორია ითვისებს. ჩვენ არ ვიმეორებთ შეცდომებს. უკანასკნელ ხანებში, პროგრესს პოლიტიკურ მეცნიერებებში განაპირობებდა ცალკეულ სფეროებში უამრავი ემპირიული აღმოჩენა. მაგალითად, დ. ლერნერის (ერნერ 1958: 63) მიერ დადგენილი კორელაცია ურბანიზაციის, განათლებისა და კომუნიკაციის ხარისხს შორის შემოწმებული ფაქტია, რომელიც ძალაში რჩება. ვიწრო სფეროებში, როგორც ჰიბრიდულში, ისე მონოდისციპლინურში, არ არის ამბიციური თეორიის საჭიროება. აქ საკმარისია ისეთი თეორიები, რომელთაც მერტონმა (ერტონ 1973) „საშუალო რანგის თეორიები“ უწოდა.

ნება მომეცით, მოვიყვანო კუმულაციური პროცესის ერთი კონკრეტული მაგალითი. პოლიტიკურ მეცნიერებაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი აღმოჩენაა საარჩევნო ტექნოლოგიების გავლენა პარტიულ სისტემებზე. ამ თემაზე შექმნილი შრომების ნუსხა, ყველაზე ნარჩევიც კი, დაიტევს 200-300 დასახელებას მხოლოდ ინგლისურ ენაზე, ისიც მრავალ ქვეყანაში პოლიტიკისთა გამოცდილებაზე უშუალო დაკვირვების გამოკლებით. კონდორსედან, ბახოფენიდან, ჯონ სტიურტ მილიდან, ჰეირიდან და ჰონდტიდან ჰერმენსამდე, დაუნსამდე, დიუვერჟემდე, სარტორიმდე, ლიეპჰარტამდე, თეორია ეფუძნება უამრავი სპეციალისტის წვლილს და მათ მიერ ამ თეორიის სრულყოფას. პროპორციული წარმომადგენლობის შედეგები ჯერ კიდევ 1850 წელს აღწერა ბახოფენმა.

დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ „არცერთი პარადიგმა არ ცდილობს სოციალურ მეცნიერებათა სფეროს მოწესრი-

გებას და, მეტადრე, უნიფიცირებას“ (ნნალს 1989: 1322). სიტყვა „პარადიგმა“ არ უნდა იხმარებოდეს სოციალურ მეცნიერებებში ბრჭყალების გარეშე.

ამრიგად, სპეციალობების ჰიბრიდიზაციასა და დისციპლინურ პარადიგმას შორის არსებული აშკარა თეორიული წინააღმდეგობის დანახვის შემდეგ, ნება მომეცით, ყურადღება მივაპყრო რამდენიმე ჰიბრიდულ თეორიას. არსებობს თეორიული ურთიერთგამდიდრების უამრავი მაგალითი. ყველაზე ხშირად ციტირებული ნაშრომი ინტერესთა ჯგუფების თეორიის შესახებ – დევიდ ბ. ტრუმენის *მმართველობის პროცესი* (ორუმ ან 1955) – მნიშვნელოვანწილად ჯგუფების სოციოლოგიურ თეორიებს ეყრდნობა. მანკურ ოლსონის კრიტიკული ნაშრომი ინტერესთა ჯგუფების ტრადიციული თეორიის შესახებ - *კოლექტიური ქმედების ლოგიკა* - დაფუძნებული იყო ეკონომიკაზე. ამავე დროს, სოციოლოგები და ეკონომისტები დაესესხნენ პოლიტიკის მკვლევართა მიერ განვითარებულ ინტერესთა ჯგუფების თეორიას.

მონათესავე დისციპლინების თეორიები ხშირად უპირისპირდებიან ერთმანეთს პოლიტიკური მეცნიერების საფუძველზე. შედეგები ყველა მხარისათვის მომგებიანია. ამის თვალსაჩინო მაგალითია „რაციონალური არჩევანის ანალიზი“. ეს მიდგომა საკმაოდ მდგრადი აღმოჩნდა ემპირიული კრიტიკის მიმართ. მაგალითად, არგუმენტი, რომ კონკრეტული პოლიტიკოსი არარაციონალური იყო, როგორც წესი, ვერ გამოდგება თეორიის შესარყევად. ნაცვლად ამისა, რაციონალური არჩევანის მოდიფიკაციები ან მისი კრიტიკა მომდინარეობს უფრო შიგნიდან ან სხვა თეორეტიკოსების მხრიდან. ყველაზე მკაცრი კრიტიკა თეორიული ალტერნატივების კონსტრუირებას ნიშნავს. თეორია დისკრედიტირებულია მხოლოდ სხვა თეორიით მისი ჩანაცვლების შემთხვევაში. როგორც წესი, ეს ხდება გარედან შემოტანილი თეორიების მეშვეობით. ფსიქოლოგიამ საფუძველი მოამზადა რამდენიმე ამგვარი შეტევისთვის. ჰერბერტ საიმონის თეორია ეყრდნობა არა მხოლოდ ეკონომიკას, არამედ ასევე ფსიქოლოგიასა და პოლიტიკური მეცნიერების შიგნით საჯარო ადმინისტრირების შესწავლას.

პოლიტიკური სისტემის თეორეტიკოსები ხშირად იყენებენ ფართო ანალოგიებს ბიოლოგიურ სისტემასთან. ბიოლოგიამ პირველმა განავითარა „სისტემის“, როგორც სიცოცხლის ორგანიზების ცნება და „ორგანული სისტემის“ ცნება, როგორც ფენომენისა, რომელიც არ დაიყვანება მის შემადგენელ ქიმიურ პროცესებამდე. ზოგიერთი სტრუქტურული ფუნქციონალისტი ამტკიცებდა, რომ სოციალური სისტემები ბიოლოგიური სისტემების მსგავსია იმით, რომ ორივე თვითრეგულირებადი და ჰომეოსტატიკურია. ეს თეორეტიკოსები აღნიშნავდნენ ასევე, რომ ზოგიერთი ფუნქცია სრულდება ნებისმიერ ბიოლოგიურ სისტემაში და იყენებდნენ ანალოგიას საკითხის დასასმელად, თუ რა ფუნქციებია სასიცოცხლო სოციალური სისტემისათვის. „1920-იან წლებში ფუნქციონალიზმი მყარად იყო ფეხმოკიდებული ბიოლოგიაში და გამოიყენებოდა დამოუკიდებლად პიროვნების ფროიდისეულ ანალიზსა და პრიმიტიული საზოგადოებების კვლევაში. აქედან გავრცელდა ფუნქციონალიზმი სოციალურ მეცნიერებებში და მასთან ერთად ლოგიკური სკეპტიციზმი სიტყვა ფუნქციის ზუსტ სტატუსთან დაკავშირებით“ (აცკენზიუ 1967: 91). სისტემათა თეორიები, იქნება ეს დევიდ ისტონის თეორია შედარებით პოლიტიკაში თუ მორტონ კაპლანი, რიჩარდ როზეკრანსი და კენეტ უოლცი საერთაშორისო ურთიერთობებში, პირველ რიგში, ეყრდნობა ამგვარ წყაროებს სოციოლოგიის ზოგიერთი სფეროდან.

დამოკიდებულების თეორია, რომელსაც ბევრი ლათინოამერიკელი სპეციალისტი იზიარებს, წარმოდგება ეკონომისტთა, სოციოლოგთა და დემოგრაფთა ჯგუფის ნაშრომიდან, რომელიც შეიქმნა გაეროს სტატისტიკოსებთან თანამშრომლობით. მათ შორის არიან: ფერნანდო ჰ. კარდოზო და ენცო ფალეტო (მათ ეკუთვნით ნაშრომი *Dependencia y Desarrolo en Latin America*), ანდრე გუნდერ ფრანკი, თეოტინიო დოს სანტოსი, რუი მაურო მარინი.

თეორიები კნინდება. საკითხავი ის არის, თუ როგორ განიდევნება ძველი თეორიები ახლით. არის კიდევ ერთი საკითხი, წამოჭრილი დენიელ ბელის მიერ, კერძოდ, მცდარი ან ჩიხში აღმოჩენილი თეორიების ფენომენის საკითხი: „რატომ ხდება ისე,

რომ ადრე მოწინავედ მიჩნეული ჩიხად იქცევა?“ (. *et al*. 1986: 220) დღეს შეიძლება დიდი ინტერესით კითხულობდნენ მრავალი პოლიტიკური ფილოსოფოსის ან წარსულის დიდი თეორეტიკოსის ნაწერებს და სიამოვნებითაც იმოწმებდნენ მათ, მაგრამ II მსოფლიო ომამდე ჩამოყალიბებულ თეორიათაგან, სულ რამდენიმეა დღესაც აქტუალური. თეორიები უფრო მეტად ლინგვისტიკაში და ეკონომიკაშია სიცოცხლისუნარიანი. ქვიშის კოშკები, აგებული პოლიტიკურ მეცნიერთა მიერ, ინგრევიან პირველივე წვიმისას. 1912 წელს გუსტავ ლე ბონი ნაშრომში *პოლიტიკური ფსიქოლოგია* წერდა, რომ მაკიაველის მიერ *მთავარში* ჩამოყალიბებული წესები ძალადაკარგულია, ვინაიდან აღარ არსებობს საზოგადოება, რომელსაც დიდი ფლორენციელი აკვირდებოდა.

თუმცა ჩვენ არ ვაპირებთ მოგზაურობას პოლიტიკური თეორიების სასაფლაოზე. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ამ ნეკროპოლისში, ჰიბრიდული თეორიების ხეივანში, უფრო ნაკლები სამარხებია, ვიდრე მონოდისციპლინური თეორიების ხეივანში.

სპეციალიზებული სფეროები თეორიულ ორიენტაციას საჭიროებენ, მაგრამ პოლიტიკურ მეცნიერებას მთლიანობაში არ შეიძლება ჰქონდეს უნივერსალური, მონოპოლისტური თეორია. მეთოდებს გაცილებით უფრო ხანგრძლივი სიცოცხლის შანსი აქვთ და ზოგიერთი მათგანი მუდმივ ატრიბუტებსაც კი წარმოადგენს, რომელთათვისაც არ არსებობს ფორმალური დისციპლინის გადაულახავი საზღვრები.

გ. მეთოდების სესხება

ჯ.ს. მილის, დიურკჰეიმის, კლოდ ბერნარის და ჰუბერტ ბლელოკის ტრადიციებში უნდა განვასხვავოთ სამეცნიერო დასაბუთება - კვლევის სტრატეგია, კვლევის მეთოდი და ტექნიკური შესაძლებლობები. ოთხივე მათგანი კროსდისციპლინურია. უნდა შევჩერდე პოლიტიკის მკვლევართა მიერ ნასესხებ მეთოდებზე. რომლებიც იშვიათად ესესხებოდნენ უშუალოდ ლოგიკას, მათემა-

ტიკას ან სტატისტიკას და, როგორც წესი, შუამავალს პოულობ-დნენ ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სოციოლოგიის ზოგიერთ სექტორში. რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს პოლი-ტიკური მეცნიერების მეთოდოლოგიურ გამდიდრებაში. თვალსა-ჩინო ტაბულა, გრაფიკული გამოსახულება, ჯამური მაჩვენებელი, ცვლადების საზომი ერთეულები, კოეფიციენტები, რეიტინგები, ამ-ონაკრების გადანაწილება, სტატისტიკური დასკვნები, ეკოლოგიუ-რი ხარვეზები, ბინომინალური დისტრიბუცია, მრავლობითი რეგ-რესია, სწორხაზოვანი კორელაცია, ურთიერთმიმართება, ფაქტო-რული ანალიზი და ა.შ. - არც ერთი ამ მეთოდთაგანი არ არის პოლიტიკის მეცნიერთა წარმოსახვის ნაყოფი. ყველა შემოტანილია და ზოგიერთი, გაუმჯობესების შემდეგ, დახვეწილი ფორმით, შე-ვიდა სხვა დისციპლინებშიც.

მეთოდების სესხების პროცესი არც იმის შემდეგ შენელებუ-ლა, რაც 1963 წელს ოლივერ ბენსონმა დაწერა, რომ „პოლიტიკუ-რი მეცნიერებისთვის მნიშვნელოვან მათემატიკურ ნაშრომთა უმ-რავლესობა დაწერილია აუტსაიდერთა მიერ, ანუ მათ მიერ, ვინც საკუთარ თავს პოლიტიკური ფენომენების მკვლევრად ნაკლებად მიიჩნევს“ (ენსონ 1963: 30). მეთოდების სესხება იოლია. მას შემ-დეგ, რაც გამოგონებისა და საწყისი შემუშავების რთული პროცესი დასრულებულია, მეთოდის გამოყენება ნებისმიერს შეუძლია, გა-ნურჩევლად იმისა, აქვს თუ არა წარმოსახვის უნარი.

პოლიტიკის მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი იცნობს შკალირების მეთოდს, შემუშავებულს ფსიქოლოგების მიერ, პატ-ანალიზს, იმპორტირებულს ბიოლოგიიდან ეკონომიკის გავლით, სოციოლოგ პაულ ლაზარსფელდის მრავალმხრივი დასაბუთებისა და გაზომვის მეთოდს, სტატისტიკოს იოერესკოგის მიერ შემოღე-ბულ ხაზოვან სტრუქტურულ მიმართებას. *ამერიკელი ჯარისკაცის* მეთოდოლოგიაზე, რომელიც ემუელ სტოუფერის რედაქტორობით მომზადდა, მუშაობდა და თანამშრომლობდა სხვა დისციპლინების არაერთი წარმომადგენელი.

პოლიტიკურ მეცნიერებაში მათემატიკური მეთოდების შემო-ტანა, ღირებული აღმოჩნდა არა იმდენად თავისთავად, რამდენა-

დაც იმით, რომ ერთგვარი პროლოგი იყო შემდგომი სესხებისათვის. მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების შეთვისებამ არსებითი დივიდენდები მოიტანა თუნდაც, მოდელირებისთვის აუცილებელი სიზუსტის თვალსაზრისით. ეს ასევე ფასდაუდებელი აღმოჩნდა მტკიცე და ლოგიკური არგუმენტების ჩამოსაყალიბებლად, იმ ნაშრომებშიც კი, რომლებშიც მათემატიკურ გამოსახულებისათვის მიმართვის აუცილებლობა არ იყო.

ვინაიდან მეთოდისა თუ კვლევის ტექნიკის გადაღებას არ სჭირდება რაიმე ნებართვა, მათი იმპორტირება არცთუ იშვიათად მოუწესრიგებელია. ახალ სფეროში ამა თუ იმ მეთოდის გამოსაყენებლად კეთილგონიერებაც კმარა. პოლიტიკური მეცნიერების სფეროში მოღვაწე სპეციალისტთა უმრავლესობა ჯერ კიდევ ერთმანეთში ურევს სამეცნიერო დასაბუთებას, კვლევის სტრატეგიასა და ტექნოლოგიას. დღეისათვის პოლიტიკის მკვლევართა დავის ძირითადი წყაროა არა იდეოლოგია, როგორც ეს ბევრს ჰგონია, არამედ მეთოდოლოგია, რომელიც უმეტესად გარედანაა მოტანილი პოლიტიკურ მეცნიერებაში. დებატები იდეოლოგთა შორის შესაძლებელია, მაგრამ ხშირად უნაყოფოა, მეთოდოლოგიურ სკოლათა შორის კამათი კი ყოველთვის ფუჭია.

სტატისტიკური მეთოდებისა და ტექნიკის გადმოღება ყოველთვის არ არის მომგებიანი. პოლიტიკის ბევრი მკვლევარი, რომელიც რაოდენობრივ მეთოდებს იყენებს, მართლაც აფართოებს პოლიტიკური ცოდნის საზღვრებს. თუმცა, სხვებს უფრო ამოძრავებთ ტექნიკით დაინტერესება, ვიდრე შესასწავლი პრობლემის არსი. ჩვეულებისამებრ, ისინი აგებენ არადადასტურებად მოდელებს, ერთგვარ ზემოდელებს და აწარმოებენ ზეგაანგარიშებებს. ხშირად ისინი ამჯობინებენ მცირე საკითხებზე მსჯელობას, ხარჯავენ ბევრ ნიჭსა და ენერგიას კორელაციის კოეფიციენტის დაზუსტებაზე, ფაქტორული ანალიზის მეშვეობით, ასე ვთქვათ, თმის ღერის ოთხ ნაწილად დანაწევრებაზე. ისინი პროდუქტიული მკვლევრები არიან. კომპიუტერიც ხომ მექანიკურად გვაძლევს პასუხს შეტანილ ინფორმაციაზე. მხოლოდ ზოგიერთი მათი ნაწერი ქვეყნდება წამყვან ჟურნალებში, ვინაიდან მათი უმრავლესობას

ახასიათებს მკვეთრი კონტრასტით ზედმეტად გართულებულ ანალიტიკურ ტექნიკასა და ღარიბ წარმოსახვას შორის კვლევის სისტემაში, ან მათ მიერ საკვლევი მონაცემები ძალზედ უმნიშვნელოა იმისათვის, რომ შეისწავლებოდეს ასეთი მძლავრი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (ოკან 1994)

დისციპლინათაშორის მეთოდოლოგიის თავისუფალ გაცვლას გეზს უნდა აძლევდეს სამეცნიერო სტრატეგია და არა მექანიკური ხერხები, განსაკუთრებით, ზოგიერთ დიდ უნივერსიტეტში, სადაც ბევრი სტუდენტი, რომელიც უკვე პროფესიულ დონეზე სწავლობს პოლიტიკურ მეცნიერებას, უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მათ „ზედმეტ ტვირთად აწევთ“ იმპორტირებული სტატისტიკური ტექნიკის მძიმე პროგრამა, რითაც ზარალდება მათი უშუალო აკადემიური ცოდნა.

III ჰიბრიდული სფეროები

თეორიულად, თორმეტი ძირითადი სოციალური მეცნიერება, თუკი თითოეული მათგანი ყველა დანარჩენებთან გადაიკვეთებოდა, მივიღებდით 144 კვადრატად დაყოფილ ბადეს. ზოგიერთი კვადრატი ცარიელი დარჩებოდა, მაგრამ მათგან 3/4-ზე მეტი შეივსებოდა ჰიბრიდული სპეციალობებით, რომლებიც გარკვეული ავტონომიით ისარგებლებდნენ (ოკან ანდ აჰრ 1990). ამ ჰიბრიდულ სპეციალობებსაც, თავის მხრივ, აქვს განშტოებები, რომლებიც ვითარდება და მეორე თაობაში იძლევა კიდევ დიდი რაოდენობით ჰიბრიდებს. შეუძლებელია ყველა არსებული კომბინაციის სრულად აღწერა დისციპლინათა უბრალო დაწყვილებით მეორე თაობის დონეზე, ვინაიდან ყველაზე დინამიკურ ჰიბრიდულ სფეროთაგან ზოგიერთი მრავალმხრივი წარმოშობისაა. ამას გარდა, ჰიბრიდული სფეროები, როგორიცაა, მაგალითად, პრეისტორია, რომლებიც ნაწილობრივ დაკავშირებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან, ვერ მოხვდება 144-დანაყოფიან ბადეში, ვინაიდან ეს უკანასკნელი განსაზღვრულია სოციალურ მეცნიერებათა სეგმენტე-

ბის რეკომბინაციისთვის. ჰიბრიდულ სფეროთა კონფიგურაცია მუდმივად იცვლება. პოლიტიკური ფსიქოლოგია, პოლიტიკური სოციოლოგია და პოლიტიკური ეკონომია დიდი ხანია აღიარებულია დამოუკიდებელ სფეროებად მაშინ, როცა პოლიტიკური ანთროპოლოგია ჯერ კიდევ არ არის ავტონომიური.

ა. პოლიტიკური ფსიქოლოგია

ფსიქოლოგიასა და პოლიტიკურ მეცნიერებებს შორის არსებობს ჰიბრიდული სფერო, რომელიც საკუთარ დროშას აფრიალებს, კერძოდ, პოლიტიკური ფსიქოლოგია. ეს მესამე თაობის ჰიბრიდია, ვინაიდან თავად ფსიქოლოგია იშვა, როგორც ჰიბრიდული დისციპლინა, რომელიც დაეფუძნა ნაწილობრივ საბუნებისმეტყველო და ნაწილობრივ სოციალურ მეცნიერებებს. პოლიტიკურ ფსიქოლოგიას აქვს ორი მონათესავე დარგი: უფროსი – სოციალური ფსიქოლოგია, ფორმალურად აღიარებულია მსოფლიოს ყველა წამყვან უნივერსიტეტში და უმცროსი - კოგნიტური მეცნიერება (ფსიქოლოგია), რომელიც დღეს ახალ მეცნიერებათა შორის ყველაზე გავრცელებულია ატლანტიკის ორივე მხარეს. პოლიტიკურ ფსიქოლოგიას უფრო იშვიათად აქვს შეხება კოგნიტურ მეცნიერებასთან, სამაგიეროდ მუდმივ კონტაქტშია სოციალურ ფსიქოლოგიასთან.

ერთ-ერთ პუბლიკაციაში (. . შეარ ანდ ჩ . . უნკ 1991: 346) გამოთქმულია აზრი, რომ პოლიტიკური ფსიქოლოგია, არის რა „ინტერდისციპლინური დარგი, დგას შემადგენელ ნაწილებად დაშლის საფრთხის წინაშე და შესაძლოა ის ამ ნაწილების სხვადასხვა აკადემიურ ინსტიტუტებს შორის გაჩენილ ნაპრალს ემსხვერპლოს“ და ამის მიზეზი „ბიუროკრატიული ინერციით გამოწვეული დისციპლინური ორთოდოქსია“ იქნება. თუმცა ეს აღმოჩენა, რომელსაც აკეთებენ პუბლიკაციის ავტორები იმის ჩვენებისას, თუ რამდენად არის შეჭრილი პოლიტიკური ფსიქოლოგია პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტებზე, ვერ ამართლებს ამ შიშს. ჟურნალი

პოლიტიკური ფსიქოლოგია ამ ჰიბრიდულ სფეროში ჩახედვის კარგი საშუალებაა.

მის ტერიტორიაზე ჩვენ აღმოვაჩენთ შემდეგ „პროვინციებს“: პოლიტიკური სოციალიზაციის, როლების თეორიის, გაუცხოების, ფსიქობიოგრაფიის, პიროვნების ანალიზის, პოლიტიკურ დამოკიდებულებათა და რწმენათა, მცირე ჯგუფების, პოლიტიკური ლიდერების ტიპოლოგიური ანალიზის, ეროვნული ხასიათის, მასობრივი მონაწილეობის, თაობების, პოლიტიკური უკმაყოფილების უბნებს, ასევე მდიდარ მეთოდოლოგიურ სფეროს (დამოკიდებულების გაზომვა, სოციომეტრიკა, კონტენტ-ანალიზი, კლინიკური მეთოდები, კვაზიექსპერიმენტული მიდგომა და, განსაკუთრებით, გამოკითხვა).

ძალიან ცოტა ჰიბრიდულ სფეროს თუ შეუძლია იამაყოს თავისი დამფუძნებლით. ამერიკულ პოლიტიკურ ფსიქოლოგიას კი ჰყავს ასეთი - ჰაროლდ ლასველი. მის მრავალრიცხოვან მიმდევართა შორის არიან: ფრედ ი. გრინსტაინი, რობერტ ლეინი, ჰერბერტ ჰაიმენი, ერიკ ერიკსონი, სიდნეი ვერბა და ჯეიმს კ. დევისი.

დასავლეთ ევროპაში პოლიტიკური ფსიქოლოგიის ჰიბრიდული სფერო ინსტიტუციონალიზებულია სულ რამდენიმე უნივერსიტეტში, მაგრამ ლიტერატურა, რომელიც მას ეხება, მდიდარია და მრავალფეროვანი. ამის ილუსტრაციაა, მაგალითად, საფრანგეთში ფილიპ ბროს შრომები, გერმანიაში კი ერვინ კ. შოიხის წვლილი, შეტანილი რეპრეზენტაციული გამოკითხვების მეთოდოლოგიის განვითარებისა და პოლიტიკურ მეცნიერებასა და სოციალურ ფსიქოლოგიაში შედარებითობის პრობლემის გადაწყვეტის საქმეში. სწორედ შოიხის დამსახურებაა „ინდივიდუალისტური ხარვეზების“ (შცჰეუცჰ 1966; 1969) აღმოჩენა. პოლიტიკური ფსიქოლოგიის სფეროში დაწერილ წიგნთა შორის უნდა გამოიყოს სემუელ ბერნსისა და მაქს კააზეს მიერ გამოცემული *პოლიტიკური ქმედება* (ან ეს ანდ აასე, *Political Action*). მათი ტიპოლოგია – მოქალაქეთა დაყოფა პროტესტის მონაწილეებად, აქტივისტებად, რეფორმატორებად, კომფორმისტებად და პასიურებად - გამოსადეგია არაერთი ქვეყნის რეალობის შესასწავლად.

ბ. პოლიტიკური გეოგრაფია

გეოგრაფიას, წარსულში წამყვან დისციპლინას, დღეს არ გააჩნია ბირთვი. ის დანაწევრებულია ბევრ ქვესფეროდ: ბიოგეოგრაფიად, სოციალურ გეოგრაფიად, ურბანულ, ისტორიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ გეოგრაფიად. არსებობს ბევრი შეხების წერტილი პოლიტიკურ მეცნიერებებსა და გეოგრაფიას შორის: გეოპოლიტიკა, ელექტორალური გეოგრაფია, ურბანული პოლიტიკა, ფედერალიზმის ტერიტორიული საფუძვლები, საზოგადოების სივრცობრივი ორგანიზაცია, ცენტრი და პერიფერია, ქალაქი და მიმდებარე რაიონები, გარემოს პრობლემები, განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, სოციალური მობილიზაციის ტერიტორიული ასპექტები და ა.შ. დემოგრაფია პოლიტიკური გეოგრაფიის კიდევ ერთი საზიარო განზომილებაა.

ჰ. ჯ. მაკინდერის სტატიის გამოქვეყნების შემდეგ (*ისტორიის გეოგრაფიული ღერძი*; იხ. აკინდერ 1904) სტაინ როკანის *ევროპის კონცეპტუალური რუკის* გამოცემამდე (ღოკან 1994, იხ. *Revue Internationale de Politique Comparée,* სპეციალური გამოშვება მიძღვნილი როკანის მოსაზრებებისადმი) დაიბეჭდა უამრავი ნაშრომი პოლიტიკური გეოგრაფიის სფეროში და არა მხოლოდ ევროპაში. ფ. ჯ. ტერნერის *საზღვრების მნიშვნელობა ამერიკის ისტორიაში* (ტერნერ *The Significance of the Frontier in American History*) ერთნაირად ეხება როგორც ისტორიას, ისე გეოგრაფიას.

კასპერსონისა და მინის კრებულში *პოლიტიკური გეოგრაფიის სტრუქტურა* (კასპერსონ ანდ მინგჰი 1969) ბევრი თავი საინტერესოა იმ პოლიტიკის მკვლევარებისთვისაც კი, რომლებიც არ არიან გეოგრაფიაზე ორიენტირებულნი (რატცელის სახელმწიფოთა სივრცობრივი გაფართოების კანონები, გეოპოლიტიკური რეგიონები, ტრანსაქციათა ნაკადის ანალიზი, ცენტრი და პერიფერია, ზანგების მიგრაციის გავლენა და ა.შ.). ცენტრი-პერიფერიის კონცეფციას აშკარად გეოგრაფიული განზომილება აქვს (ღოკან, როკან *et al.* 1987).

პოლიტიკური მეცნიერება და გეოგრაფია იკვეთება ასევე ელექტორალური გეოგრაფიის სფეროში, განსაკუთრებით, საერთო მონაცემების ანალიზისას ქვეყნებში, რომლებისთვისაც დამახასიათებელია დიდი ტერიტორიული მრავალფეროვნება და რომელთა შესახებაც ინფორმაცია მოიპოვება ადმინისტრაციული ერთეულების დონეზე. ამ თვალსაზრისით, პრივილეგირებული ქვეყნები არის ან უკანასკნელ დრომდე იყო: საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია, ბელგია, ნორვეგია, ფინეთი, ავსტრია, კანადა. ანდრე ზიგფრიდი (შეგფრიდ 1913) იკვლევდა საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთს, ვ.ო. კი - სამხრეთის პოლიტიკას (ეყ 1949), რუდოლფ ჰერბერლე (ერბერ 1949) - შლეზვიგ-ჰოლშტაინს ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდში, ერიკ ალარდტი (ალარდ 1964) - ფინეთს, მ. დოგანი (ოგან 1968) - იტალიას, სტაინ როკანი და ჰ. ვალენი (ღოკან ანდ Vალ 1964) - ნორვეგიის პოლიტიკაში რეგიონულ კონტრასტებს, ხუან ლინცი და ამანდო მიგელი (ინ ანდ ფ ფუელ 1966) „რვა ესპანეთს“, რ.ე. დე სმეტი და რ. ევალენკო (ე შმ ეტ ანდ ვალ ენკ 1959), ასევე ფრონიე სხვებთან ერთად (ფრონ ერ *et al*. 1974) - ბელგიას. ეს გეოგრაფიული მიდგომა გამოიცადა დეტალური ანალიზით, რომლის დროსაც ტერიტორია ქრება და გზას უთმობს ტერიტორიული ერთეულებისა და ცვლადების სოციოლოგიურ გადაჯგუფებას (ოან ანდ ღერ 1988). ამ ჰიბრიდულ სფეროს აქვს სპეციალური ჟურნალების მთელი სერია, რომლებიც ინტერდისციპლინურ კავშირებს წარმოადგენენ: *Economic Geography, Urban Geography, International Journal of Urban and Regional Research* და, განსაკუთრებით, *Political Geography*.

პოლიტიკის მკვლევარები ანალიზის ერთეულად კვლავ ერსახელმწიფოს მიიჩნევენ და ეს იმ დროს, როცა მსოფლიოში არსებობს უამრავი გიგანტური ქალაქი ოთხ მილიონზე მეტი მოსახლეობით, რაც აღემატება ზოგიერთი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოსახლეობას. მსოფლიოსთვის სულ უფრო მეტად განმსაზღვრელი ხდება გიგანტური ქალაქების წარმმართველი როლი (ოან ანდ ასარ 1988). ამ სფეროს შესწავლას სათავეში უდგანან გეოგრაფები და ურბანისტები, რომლებიც გვთავაზობენ თეორიულ

სტრუქტურებს (რომეწორს), კონცეფციებსა და გაზომვის მეთოდებს. ურბანისტიკა ფართოვდება. ის ალბათ მალე დამოუკიდებელ დისციპლინად იქცევა. დღეს თითქმის ყველა განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში „ურბანოლოგიის“ სპეციალისტთა რიცხვი უფრო მაღალია, ვიდრე პოლიტიკის მკვლევრებისა. „ურბანული პოლიტიკა“ მზარდი სფეროა.

გ. პოლიტიკური სოციოლოგია

პოლიტიკურ მეცნიერებასა და სოციოლოგიას აქვთ საზიარო სფერო: პოლიტიკური სოციოლოგია. ეს ძველი ჰიბრიდია, აღიარებული ჯერ კიდევ 1950-იან წლებამდე, როგორც ამის შესახებ წერდა ნეილ სმელზერი:

„პოლიტიკური მეცნირების შედარებით ახალ განშტოებებში, რომლებიც თავისუფლად გაერთიანდნენ ბიჰევიორული მიდგომის გარშემო, კვლევის მეთოდები, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, თითქმის არ განსხვავდება სოციოლოგიის მეთოდებისგან... პოლიტიკის მკვლევრები მონაცემების შეგროვების, სტატისტიკური დამუშავებისა და შედარებითი ანალიზისათვის იყენებენ მეთოდების იმავე არსენალს, რასაც სოციოლოგები“ (შმ ეჯერ 1967: 27).

თანხვედრა აშკარაა.

ჯოვანი სარტორი განასხვავებს პოლიტიკურ სოციოლოგიას და პოლიტიკის სოციოლოგიას. მისთვის ეს უკანასკნელი, რელიგიის სოციოლოგიის მსგავსად, სოციოლოგიის განშტოებაა. გამყოფი ხაზი შეიძლება გაივლოს დამოკიდებული ან დამოუკიდებელი ცვლადების აქცენტირების განხილვისას. „დამოუკიდებელი ცვლადები - მიზეზები, დეტერმინანტები ან ფაქტორები სოციოლოგებისთვის ძირითადად სოციოლოგიური სტრუქტურებია, მაშინ როცა პოლიტიკური მეცნიერებებისთვის დამოუკიდებელი ცვლადები ძირითადად პოლიტიკური სტრუქტურებია (სარტორი 1969: 67). ის ასკვნის, რომ „პოლიტიკური სოციოლოგია ინტერდისციპლინური ჰიბრიდია, რომელიც სოციალური და პოლიტიკური განმარტები-

თი ცვლადების კომბინირებას, ანუ სოციოლოგების მიერ შემოთავაზებული საწყისი მონაცემების პოლიტოლოგთა მიერ შემოთავაზებულ საწყის მონაცემებთან შეთანხმებას ცდილობს (შარტი 1969: 69).

პოლიტიკური მეცნიერების ბევრი ყველაზე მეტად ცნობილი მკვლევარი წამყვანი სოციოლოგია. მეცნიერთა საკმაო რაოდენობას აქვს ან ჰქონდა ორმაგი სპეციალობა -ა პოლიტიკური მეცნიერების და სოციოლოგის, ასეთები არიან შორის რ. არონი, ს. მ. ლიპსეტი, რ. ბენდიქსი, ი. ლინცი, ჯ. სარტორი, მ. კააზე, ჯ.დ. სტივენი. მილდრედ ა. შვარცი, ჩ. რეიჯინი და მ. დოგანი. დღეს პოლიტიკური ეკონომია სოციოლოგიასა და პოლიტიკურ მეცნიერებას შორის გაბატონებულ ურთიერთდამოკიდებულებას ეცილება.

დ. როგორ დაიპყრო პოლიტიკურმა მეცნიერებამ ეკონომიკის ტერიტორია

ზოგიერთი ეკონომისტი მომხრეა „ეკონომიკის იმპერიალისტური ექსპანსიისა სოციოლოგიის, პოლიტიკური მეცნიერების, ანთროპოლოგიის, იურისპრუდენციის და სოციალური ბიოლოგიის ტრადიციულ სფეროებში“ (ფაინერ 1985: 53). რამდენიმე ამ იმპერიალისტთაგანი ცნობილი მეცნიერია, მათ შორის ზოგიერთი - ნობელის პრემიის ლაურეატი. ჟურნალში *American Economic Review* გამოქვეყნდა ერთგვარი მანიფესტი, რომლის ციტირებაც ღირს:

„სრულიად შეუძლებელია გამოიყოს საგანგებო ტერიტორია ეკონომიკისთვის, რომელიც იქნება მოსაზღვრე მაგრამ ამავე დროს გამიჯნული სხვა სოციალური დისციპლინებისგან. ეკონომიკა ღრმად არის შეჭრილი ყველა ამ დარგში და, პირუკუ, ეკონომიკაშიც შემოჭრილია ყველა ეს დისციპლინა. არსებობს მხოლოდ ერთი სოციალური მეცნიერება. ეკონომიკას იმპერიალისტურ დაპყრობით ძალას ანიჭებს ის, რომ ჩვენი ანალიტიკური კატეგორიები - დეფიციტი, ფასი, პრიორიტეტები, შესაძლებლობები და ა.შ. მართლაც უნივერსალურია გამოყენებაში... ამდენად, ეკონომიკა

სოციალური მეცნიერების უნივერსალური გრამატიკის ფუძემდებელია. თუმცა ამას სხვა მხარეც აქვს. ვიდრე სამეცნიერო შრომები ანთროპოლოგიაში, სოციოლოგიაში, პოლიტიკურ თუ სხვა მეცნიერებებში სულ უფრო მეტად დაემსგავსება გამოკვლევებს ეკონომიკაში, ეკონომისტები, თავის მხრივ, მიხვდებიან, თუ რამდენად იზღუდება მათი ფუნქცია. ამ პროცესის შედეგად კარგ ეკონომიკურ მეცნიერებას მოეთხოვება, იყოს თანადროულად კარგი ანთროპოლოგიაც, სოციოლოგიაც, პოლიტიკური მეცნიერებაც და ფსიქოლოგიაც" (ისპეტერ 1985: 53).

ეს ხედვა ანაქრონისტულია და ეწინააღმდეგება ეკონომიკის, როგორც დავიწროებადი დისციპლინის, აღქმას: „ეკონომიკა, როგორც ფორმალური დისციპლინა, განსაცდელშია, ვინაიდან მის მთავარ მიღწევებს - კონცეპტუალიზაციას, თეორიას, მოდელირებას და მათემატიზაციას - თან ახლავს მისი საგრძნობი იზოლაცია სხვა სოციალური მეცნიერებებისგან" (ეაუდ 1991: 157).

სინამდვილეში სოციალური მეცნიერების უახლესი ისტორია ცხადყოფს, რომ სამეცნიერო ცოდნის უამრავ სფეროში ეკონომიკურმა მეცნიერებამ თავისი პოზიციები დაკარგა. ეს სფეროები დაიკავეს მომიჯნავე დისციპლინებმა. ერთ კონკრეტულ მომენტში ეკონომიკა გზის გასაყარზე აღმოჩნდა: მას შეეძლო აერჩია ინტელექტუალური ექსპანსია, შეჭრილიყო სხვა დისციპლინებში საკუთარი დივერსიფიკაციის ფასად, სხვადასხვა მიმართულებებად დაშლის ხარჯზე (ამ რისკს არ შეუშინდა პოლიტიკური მეცნიერება). ამის ნაცვლად მან ამჯობინა პროფესიის სიწმინდის შენარჩუნება, არჩია საკუთარი თავის ერთგულება, რისი საზღაურიც ტერიტორიების დაკარგვა იყო. მაინც ბევრ ეკონომისტს მიაჩნია, რომ სიწმინდის არჩევანი, მეთოდოლოგიური სიმკაცრე და ჰერმეტული (უცვლელი) ტერმინოლოგია სწორი არჩევანი იყო.

ამდენად ნათელია, რომ თვითკმაყოფა, ეკონომისტებისთვის ნაცნობი სიტყვა რომ ვიხმაროთ, დისციპლინის ჩარჩოების შემჭიდროებით მთავრდება. თუმცა ეს არ გულისხმობს საერთო გაღარიბებას, ვინაიდან ეკონომისტების მიერ დატოვებული ტერიტორიები მალე სხვებმა აითვისეს. გამოთავისუფლებულ სივრცეს ახ-

ლა სხვა მედროშეები ჰყავს: მენეჯმენტი, პოლიტიკური ეკონომია, მეცნიერება განვითარების შესახებ, მესამე სამყაროს ქვეყნების შედარებითი კვლევა, ეკონომიკური და სოციალური ისტორია. ეკონომიკა საკუთარ ჩარჩოებში რომ არ ჩაკეტილიყო, შესაძლოა, დღეს მისი პოზიცია სოციალურ მეცნიერებათა თანავარსკვლავედში უფრო სახარბიელო ყოფილიყო.

ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით გასაკვირია, რადგან გამოდის, რომ რამდენიმე კლასიკოსი მეცნიერი, მარქსიდან და ვებერიდან შუმპეტერამდე, პოლანიმდე, პარსონსამდე, სმელზერამდე (ანდ შმ ეიზერ1990), ასევე პარეტოც, შემცდარან, როცა საკუთარ თეორიებში ცენტრალური ადგილი ეკონომიკას, საზოგადოებასა და პოლიტიკას შორის ურთიერთობებს მიუჩინეს. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტების მთელი არმია პრიორიტეტს ანიჭებდა პოლიტიკური ფენომენების შესწავლას, თუგინდ ცალი ფეხით ეკონომიკაში მდგარიყვნენ. მათ შორის არიან კენეტ ეროუ, ენტონი დაუნსი, კენეტ ბოულდინგი, ჩარლზ ლინდბლომი, ჯეიმს ბიუქენენი, გორდონ ტალოკი, ალბერტ ჰირშმანი, ჯონ ჰარსანი, ჰერბერტ საიმონი, დანკან ბლექი, ჯერომ როთენბერგი, თომას შელინგი, რიჩარდ მასგრეივი, მანკურ ოლსონი და სხვები.

ზოგიერთი ეკლექტიკოსი ეკონომისტი უარყოფს რედუქციონიზმს, გაზიარებულს სხვების მიერ და იმოწმებს გამოკვლევებს განვითარების სფეროში: განვითარება დაყვანილია ეკონომიკურ განვითარებამდე; ეს უკანასკნელი დაყვანილია ზრდამდე, რაც, თავის მხრივ, დადის ინვესტიციამდე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაგროვებამდე. რამდენიმე ათწლეული დასჭირდა, რათა შეცვლილიყო წარმოდგენა ერთ სულ მოსახლეზე საერთო ეროვნული შემოსავლის ( ) შესახებ, როგორც განვითარების ინდიკატორის შემადგენელი შემადგენელი ნაწილის თაობაზე. გუნარ მიურდალი გამოდიოდა უნიდისციპლინარული მოდელების მომხრე ეკონომისტების წინააღმდეგ.

ბევრ ქვეყანაში ეკონომისტთა დიდი ნაწილი თითქოს ჩაიკეტა, რის შედეგადაც დარჩა შეუსწავლელი მთელი სფეროები, რომლებიც გულდასმით კვლევას საჭიროებდნენ. მაგალითად, მათი

წვლილი, შეტანილი მესამე სამყაროს განვითარების პრობლემის შესწავლის საქმეში, მოკრძალებულია პოლიტოლოგთა და სოციოლოგთა მიერ გაწეულ შრომასთან შედარებით. განსაკუთრებით ეს ეხება შეერთებულ შტატებს, ლათინურ ამერიკასა და ინდოეთს.

თუკი დისციპლინა მიდრეკილია საკუთარ თავში ჩაკეტვისაკენ, თუკი ის საკმარისად გახსნილი არაა, თუკი მისი სპეციალობები არ განიცდიან ჰიბრიდიზაციას, მომიჯნავე ტერიტორიები მაინც არ რჩება აუთვისებელი. ბევრ ეკონომისტს გარკვეულწილად ქედმაღლური დამოკიდებულება ჰქონდა პოლიტიკური მეცნიერების მიმართ. ამის შედეგად, შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთსა და სკანდინავიის ქვეყნებში ეკონომიკურ მეცნიერებასთან პარალელურად განვითარდა და კიდეც ეჯიბრებოდა მას პოლიტიკური ეკონომია - წევრთა უკიდურესი აქტივობითა და მრავალრიცხოვნებით გამორჩეული ახალი სამეცნიერო მიმართულება. პოლიტიკურ ეკონომიას სახელი დაერქვა ერთ-ერთი ძველი ფრანგული სახელწოდების აღორძინების შედეგად. პოლიტიკური ეკონომია ამჟამად ამერიკული პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი უმთავრესი სფეროა, მეტად პროდუქტიული და ავტორიტეტული ჟურნალებით აღჭურვილი. პოლიტიკური ეკონომია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სექტორია პოლიტიკურ მეცნიერებაში სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა შორის. პოლიტიკურმა მეცნიერებამ ყველაზე მეტად იხეირა ეკონომიკის მონოდისციპლინური ჩაკეტილობით.

ოცდაათი წლის წინ ფ.ა. ჰაიეკი წერდა, რომ „ვერავინ შეძლებს იყოს დიდი ეკონომისტი, თუ ის მხოლოდ ეკონომისტია. თანაც დიდია ალბათობა იმისა, რომ ეკონომისტი, რომელიც მხოლოდ ეკონომისტია, იქცეს დაბრკოლებად, თუგინდ აშკარა საფრთხედ, მეცნიერების განვითარებისათვის“ (აყეკ 1956: 463). დღეს შესაძლოა დაგვიანებულიც კი იყოს ეკონომიკისათვის პოლიტიკური მეცნიერების, სოციოლოგიის, ეკონომიკური ისტორიის და, განსაკუთრებით, პოლიტიკური ეკონომიკის მიერ დაკავებული ტერიტორიების ხელახლა დაპყრობა. ზოგიერთ ეკონომისტს ჯერ კიდევ იმედი აქვს: „საჭიროა პირობის *ceteris paribus* შეზღუდვა ინტერ-

დისციპლინური მიდგომის შესათვისებლად, ანუ ეკონომიკის გასახსნელად მულტიდისციპლინურობისათვის“ (არუტიუნოვ 1991: 490). ვარაუდებისა და თეორიების მეშვეობით დასაბუთებაზე უარის თქმა აღარ იქნება საკმარისი, ვინაიდან რეალობა შეიცვალა: „ეკონომიკური საკითხები პოლიტიზებული გახდა და პოლიტიკური სისტემები სულ უფრო მეტადაა დაკავებული ეკონომიკური საქმეებით“ (ბრენანდ აკე 1991: 5).

ე. პოლიტიკური ანთროპოლოგიიდან ჰიბრიდული რეგიონული კვლევებისაკენ

1950-იანი და 60-იანი წლების მიჯნაზე, სულ რამდენიმე წელიწადში, დაახლოებით ორმოცდაათმა კოლონიამ მოიპოვა ეროვნული დამოუკიდებლობა. ამ პერიოდში სოციალურ მეცნიერებათა სამი ათასამდე ამერიკელი მკვლევარი, მათ შორის პოლიტიკური მეცნიერების სფეროდან, ამერიკული ფონდების ხელშეწყობით მიავლინეს აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში ახალგაზრდა ერი-სახელმწიფოების შესწავლის მიზნით, რომლებსაც ახალი მოპოვებული ჰქონდათ დამოუკიდებლობა. მათ მსოფლიო ასობით წიგნითა და სტატიით აავსეს. ისინი რეგიონების სპეციალისტებად იქცნენ და ჩაენაცვლნენ ევროპელ მკვლევრებს ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის, ნიდერლანდისა და პორტუგალიის გამოძევების შემდეგ მათი კოლონიებიდან.

რეგიონების სპეციალისტთა ეს სპონტანური თაობა ჰიბრიდად იშვა. მათმა საკვლევმა თემებმა გააფერმკრთალა დისციპლინათა საზღვრები. რეგიონების სპეციალისტთა თაობისა და მისი მიმდევრების ყურადღება კონცენტრირებული იყო არადასავლურ სუსტად განვითარებულ ქვეყნებზე, „უსახელმწიფო“ საზოგადოებაზე, იმაზე, რასაც ჯოელ ს. მიგდალი „სუსტ სახელმწიფოებსა და ძლიერ საზოგადოებებს“ უწოდებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძველი დისციპლინის - ანთროპოლოგიის პრივილეგირებულ საკვლევ

სფეროს წარმოადგენდა, რომელიც საუკუნეთა მიჯნაზე აყვავდა დასავლეთ ევროპაში. ევროპელმა ანთროპოლოგებმა ამერიკელ რეგიონების სპეციალისტებზე გაცილებით ადრე აღმოაჩინეს ეს „პრიმიტიული“ საზოგადოებები.

მეცნიერთა ეს ორი კატეგორია ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისგან. ევროპელი ანთროპოლოგები მონოდისციპლინური მეცნიერები იყვნენ, მკაფიო იდენტობით, ტერმინოლოგიითა და თეორიული ჩარჩოებით. ისინი ცოდნის ექსპორტიორები იყვნენ სოციალურ მეცნიერებათა მთელ სპექტრში. ზოგიერთ მათგანს იმპერიალისტური ამბიციები ჰქონდა, აცხადებდა რა ანთროპოლოგიას უმთავრეს მეცნიერებად. ისინი ყველა სხვა დისციპლინას, მათ შორის პოლიტიკურ მეცნიერებასა და სოციოლოგიას, ანთროპოლოგიის ნაწილად განიხილავდნენ.

როცა იმპერიებმა, რომლებიც პლანეტის ნახევარს მოიცავდნენ, რღვევა იწყეს, ამ ანთროპოლოგებმა დაკარგეს საკვლევი ობიექტი. ანთროპოლოგია დაიშრიტა. ანთროპოლოგიის მიერ დატოვებული ტერიტორია გადავიდა რეგიონების სპეციალისტების ხელში. მათი წინამორბედებისგან განსხვავებით, ახალმა „დამპყრობლებმა“ ვერ ააფრიალეს დისციპლინური დროშა. მხოლოდ რამდენიმე მათგანს ჰქონდა მიღებული ანთროპოლოგიური განათლება, უმრავლესობა კი არც თეორეტიკოსი იყო და არც მეთოდოლოგი. იყვნენ გამონაკლისებიც, მათ შორის ყველაზე ცნობილი სახელებია დევიდ აპტერი, ლეონარდ ბინდერი, ჯეიმს კოულმენი, ლუსიენ პაი, ფრედ რიგსი, დანკუარტ რასტოუ, რიჩარდ სკლარი და მაირონ ვინერი.

დევიდ ისტონს სურდა დაეარსებინა ახალი ქვედარგი: პოლიტიკური ანთროპოლოგია. მან 1959 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი ამ სახელწოდებით. დღევანდელი გადმოსახედიდან, შეიძლება ითქვას, რომ ახალშობილი სუსტი იყო. იმ დროს ახალ წარმმართველ ძალას ესაჭიროებოდა არადისციპლინური სპეციალისტები ახლადშექმნილი ქვეყნებისა და არა ანთროპოლოგიის ექსპერტები, დისციპლინა, რომლის კოლონიზება დაწყებული იყო სხვა დისციპლინების მიერ.. ნიშანდობლივია, რომ ამავე დროს მარგრეტ მიდს

(ეად 1961: 475) ეშინოდა, რომ იხილავდა საკუთარ დისციპლინას „შთანთქმულს“ და „იზოლირებულს“ სამეცნიერო საზოგადოებისგან“. კეთილი „ბებერი“ ანთროპოლოგია იმპერიალიზმის მწვერვალიდან „გამოუსადეგარი სამეცნიერო საწყობის“ დონემდე დაეშვა (ეად 1961: 475).

პოლიტიკური ანთროპოლოგია დღეს აღარ ყვავის, რადგანაც ზედმეტად ანთროპოლოგიური და არასაკმარისად პოლიტიკურია; ეს იმ დროს, როდესაც ღარიბი ქვეყნები, აფრიკის გამოკლებით, ვითარდებიან და განიცდიან შინაგან ცვლილებას გლობალურ ეკონომიკურ სამყაროსთან პირისპირ ურთიერთობაში. ლუსიენ პაის-მნიშვნელოვანი ნაშრომი *არადასავლური პოლიტიკური პროცესები* (ყე, *The Non-Western Political Process*), რომელიც 1958 წელს გამოვიდა, დღეს საჭიროებს სერიოზულ განახლებას დიქოტომიათა მასშტაბის შემცირებით. პოლიტიკური ანთროპოლოგიის სფერო, ჩანს, ერთადერთი ჰიბრიდული სფეროა, რომელიც დაღმავლობას განიცდის.

ამავე დროს, ფრანგმა დემოგრაფ-ეკონომისტ-სოციოლოგმა ალფრედ სოვიმ (შაუვი 1952; 1956) შემოგვთავაზა, რომ ამ ახალი ნაკლებად პრივილეგირებულ ქვეყნებისთვის „მესამე სამყარო“ გვეწოდებინა, საფრანგეთის რევოლუციამდელი „მესამე წოდების“ ანალოგიით. ეს იარლიყი შენარჩუნდა, მიუხედავად იმისა, რომ 1989 წელს დაინგრა „მეორე სამყარო“. სავსებით შესაძლებელია, რომ ადრე თუ გვიან ეს სახელწოდება შეიცვლება, ვინაიდან ის მოიცავს ქვეყნების უზომოდ დიდ ნაირგვარობას: ჩინეთის მსგავს ძველ ცივილიზაციებს და აფრიკის ხელოვნურად შექმნილ სახელმწიფოებს; საუდის არაბეთის მსგავს მდიდარ და უკიდურესად ღარიბ ქვეყნებს. რომელი დისციპლინა შემოგვთავაზებს ახალ იარლიყებს?

მესამე სამყაროს ქვეყნების რეგიონული კვლევები პრიორიტეტს ანიჭებენ თემებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ცალკეული ქვეყნების გაგებისათვის. „ისინი პატივს არ სცემენ დისციპლინათა ჩარჩოებს” (ამ ბერ 1991: 190). რეგიონულ კვლევებში კარგადაა წარმოდგენილი ჰუმანიტარული სფერო. „სოციალურ მეცნიერებებ-

ში მომუშავე რეგიონის სპეციალისტებს, როგორც ჩანს, აქვთ ძირითადად მეტი კონტაქტი და საერთო ინტელექტუალური საქმიანობა ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან, ვიდრე მათ დისციპლინურ კოლეგებს, რომლებიც არ არიან ორიენტირებულნი რეგიონებზე“. ანთროპოლოგიის, ისტორიის, ლიტერატურისა და პოლიტიკური მეცნიერების შეხამებამ განაპირობა ის, რომ „ჭეშმარიტად ინტერდისციპლინური ნაშრომები შეიქმნა რეგიონული კვლევების სფეროში“ (ამ ბერტ1991: 192).

აღწერს რა დავას ტრადიციულ დისციპლინებსა და რეგიონულ კვლევას შორის, რომელმაც ზემოქმედება მოახდინა მეცნიერთა თვითიდენტიფიკაციაზე, ლუსიენ პაი აღნიშნავს (უციან ჭ . ყე1975: 3): „რეგიონული სპეციალიზაციის გაჩენამ შეცვალა თვალთახედვა და წამოჭრა საკითხები, რომლებიც სოციალურ მეცნიერებათა საფუძვლებს წვდება". დისციპლინათა გადაკვეთაზე წარმოქნილმა ჰიბრიდულმა სფეროებმა გაცილებით უფრო მეტად შეცვალა ეს საფუძვლები, ვიდრე გამჭოლმა ჰიბრიდულმა რეგიონულმა კვლევამ.

ვ. პოლიტიკური განვითარება საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებების მიჯნაზე

პოლიტიკური რეჟიმების სხვადასხვა ტიპების გეოგრაფიული გავრცელება გასაოცარი ფენომენია, მაგრამ ის არ გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე. ესაა რეაქცია სოციოლოგ ელსვოთ ჰანტინგტონის გადაჭარბებაზე, რომელიც მწვავედ და სამართლიანად გააკრიტიკა სოციოლოგმა პიტირიმ სოროკინმა 1928 წელს. ამ კრიტიკამ გარემოსა და კლიმატური ფაქტორების გათვალისწინების ყოველგვარი სურვილი გაუქრო ამერიკელ სოციოლოგთა და პოლიტიკის მეცნიერების წარმომადგენელთა მთელ თაობას.

თუმცა სახელგანთქმულ ეკონომისტთა დიდი ნაწილი არ დარჩენილა მდუმარედ. 1955 წელს უ. არტურ ლიუისმა *ეკონომიკური ზრდის თეორიაში* აღნიშნა: მნიშვნელოვანია იმ მიზეზის დადგენა, თუ რატომ ჩამორჩებოდნენ ტროპიკული ქვეყნები უკანასკნელი ორი ასწლეულის მანძილზე თანამედროვე ეკონომიკური ზრდის პროცესში“ (ეწ ძ 1955: 53). ჯონ კენეტ გალბრეიტი 1951 წელს წერდა: „დედამიწის ეკვატორს ორი ათასი მილის სიგანის სარტყელი რომ შემოარტყა, მასში ვერც ერთ განვითარებულ ქვეყანას ვერ აღმოაჩენ... ცხოვრების დონე ყველგან დაბალია, სიცოცხლის ხანგრძლივობა – მოკლე“ (ალრიჩ 1951: 39-41). თხუთმეტიოდე წლის შემდეგ ჩარლზ კინდლბერგერი (ინდლბერგერ 1965: 78) წერდა: „ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ახალ დროში ვერც ერთმა ტროპიკულმა ქვეყანამ ვერ მიაღწია ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს.“ კენეტ ბოულდინგი (ბოულდინგ 1970: 409) კიდევ უფრო წინ მიდის: „უკანასკნელ თაობაში ეკონომიკსმა პრინციპული წარუმატებლობა განიცადა ეკონომიკური განვითარების სფეროში და ეს მნიშვნელოვანწილად ზომიერი კლიმატური ზონის შედეგი იყო.“

ეს ეკონომისტები დამოწმებული ჰყავს მსოფლიო ბანკის ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის დირექტორს ენდრიუ კამარკს წიგნში *ტროპიკები და ეკონომიკური განვითარება* (ამარკ 1976). აქ საერთოდ არ არის საუბარი პოლიტიკაზე. მიუხედავად ამისა, ნაშრომი ახერხებს ეჭვქვეშ დააყენოს ტროპიკული რეგიონების პოლიტიკის ჩვენეული აღქმა. ტრიპანოსომიაზი (ძილქუშის ავადმყოფობა), რომელსაც ბუზი ცეცე ავრცელებს, აფერხებს აფრიკის უმეტესი ნაწილის პროგრესს საარსებო დონის ზემოთ: „ბუზი ცეცე ანადგურებდა სასაპალნე პირუტყვს, რის შედეგადაც საუკუნეების მანძილზე ტროპიკული აფრიკა იზოლირებული აღმოჩნდა დანარჩენი მსოფლიოსაგან, აფრიკის სხვადასხვა ხალხები კი ერთმანეთს მოწყდა“ (ამარკ 1976: 38). ოცი წლის წინათ აფრიკის რეგიონი, გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე შეერთებული შტატებია, უვარგისი იყო მესაქონლეობისათვის (ამარკ 1976: 25). სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ნოტიო ტროპიკებში შეზღუდუ-

ლია ნიადაგის მდგომარეობით, რომელიც ინფიცირებული იყო (ამ არტ 1976: 25). 1960-იან წლებში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და მსოფლიო სასურსათო ორგანიზაციის გამოკვლევებმა დაადგინა, რომ პარაზიტებმა დააავადა მილიარდამდე ადამიანი ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. ამ რეგიონებში 500 მილიონი ადამიანი დასნეულდა ანკილოსტომიით, რომლის სიმპტომებიცაა ანემია, სისუსტე და ცხელება (ამ არტ 1976: 75).

ეს ეკოლოგიური ფაქტორები დადასტურდა გამოკვლევათა საგულისხმო რაოდენობით, რომელიც უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ტროპიკულ რეგიონებში ჩაატარეს გეოლოგებმა, გეოგრაფებმა, ბიოლოგებმა, ზოოლოგებმა, ბოტანიკოსებმა, აგრონომებმა, ეპიდემოლოგებმა, პარაზიტოლოგებმა, კლიმატოლოგებმა, მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა და გაეროს რამდენიმე სააგენტომ, ასევე ჰიბრიდული პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენლებმა, რომლებიც კარგად იყვნენ გათვითცნობიერებული ტროპიკულ სოფლის მეურნეობაში, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაში და ამ ქვეყნების სანიტარულ მდგომარეობაში. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ათეულობით ანგარიშის თანახმად, ახლანდელი თაობის დროს ვითარება გამოსწორდა.

თუკი ამ ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს პოლიტიკური მეცნიერების ენაზე გადმოვთარგმნით, იბადება კითხვები:

- რატომ მდებარეობს თითქმის ყველა პლურალისტური ინდუსტრიული დემოკრატიები ზომიერ სარტყელში?
- რატომ ჰქონდა ინდოეთს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი თეორიის თანახმად „არ უნდა ყოფილიყო დემოკრატიული“ და რომელიც შედარებით ღარიბ ტროპიკულ ქვეყანას წარმოადგენს, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დემოკრატიული რეჟიმი?
- არსებობს რაიმე კავშირი იმ ფაქტებს შორის, რომ კონტინენტური აფრიკის 30 მლნ კმ-ზე მეტი ფართობი ტროპიკებში მდებარეობს (ხმელთაშუა ზღვის გამოკლებით) და რომ ეს უღარიბესი კონტინენტია, სადაც არ არსებობს ერთი ჭეშმარიტად პლურალისტული დემოკრატიაც კი,

რომელსაც შესწევს უნარი, თუნდაც რამდენიმე წლით შეინარჩუნოს არსებობა?

- რა დოზით უნდა ჩავრთოთ ეკოლოგიური ფაქტორები ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების პარამეტრებში?

ეს შეკითხვები შეიძლება დაისვას როგორც ძველი „განვითარების“ სკოლის, ისევე მისი მემკვიდრე ახალი „ტრანზიტოლოგიის სკოლის“ მხრიდან. ერთმა კოლექტივმა (გ. ო დონელი, ფ.კ. შმიტერი და ლ. უაითჰედი) საკუთარ წიგნს ჭკვიანური სათაური შეურჩია, რომელიც არ მიგვანიშნებს საბოლოო შედეგზე: *ავტორიტარული მმართველობის გარდაქმნა* (ონნელ შცჰმ ᲘᲜᲓᲘᲠ Ჭ ᲰᲘᲜᲗᲔᲐᲓ 1986). მეცნიერთა სხვა ჯგუფმა (ლ. დაიმონდის ხელმძღვანელობით ხ.ხ. ლინცი და ს.მ. ლიპსეტი) გარისკა და თავისი წიგნის სათაურიც შემოთავაზებით - *დემოკრატია განვითარებად ქვეყნებში* (ᲐᲛ ᲝᲜᲓ ᲜᲒ, ᲚᲘᲞᲡᲔᲢ1988) - ვარაუდი გამოთქვა, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები მართლაც გზას იკაფავენ ამ ქვეყნებში, რომლებიც, ერთ-ერთი თანარედაქტორის აზრით, თავიდან არ პასუხობდნენ „დემოკრატიის მოთხოვნებს“.

ამ ორი ჯგუფიდან ვერც ერთმა ვერ განასხვავა ნათლად და ფუნქციონალურად ჭეშმარიტი პლურალისტული დემოკრატია, დალის პოლიარქია და ჭეშმარიტი დემოკრატიის შეზღუდული, ნაწილობრივი, ზედაპირული ან ჩანასახოვანი სახეები. დემოკრატიზაციის პროცესები, მოდერნიზაციის სტადიები, ლიბერალიზაცია, ელექტორული თამაშები, ადამიანის უფლებათა პატივისცემა მხოლოდ „დასავლური მოდელისკენ“ მიმავალი საფეხურებია. დღეისათვის სიტყვა „დემოკრატია“ უზედსართავოდ გვაბნევს. როგორც ცნობილია, არსებობს დემოკრატიული რეჟიმების დიდი მრავალფეროვნება. დემოკრატიის მისაღწევად საჭიროა სხვადასხვა სტადიის გავლა, როგორც ამას აჩვენებს მონაცემები რაიმონ გასტილის სერიიდან *მშვიდობა მსოფლიოში* (ასტ1980-1989). ზემოთ დასმული იყო შეკითხვა: რატომ ამჟღავნებენ დღემდე აყვავების ტენდენციას ჭეშმარიტად მოწინავე დემოკრატიები ზომიერ სარტყელში? ამ კითხვაზე მიახლოებითი პასუხის გაცემა შესაძლებე-

ლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკაფიოდ განვასხვავებთ დემოკრატიის ტიპებს.

ინდოეთი, როგორც დემოკრატიული ქვეყანა, კლინიკური შემთხვევაა, სამეცნიერო „ანომალია“, ამ სიტყვის თომას კუნისეული გაგებით. ამ შემთხვევით დაინტერესებული კომპარატივისტები უნდა მოიქცნენ ბიოლოგებივით, როცა მათ ბედი გაუღიმებთ და ნორმისგან რაიმე გადახრას აღმოაჩენენ. მათ შეუძლიათ, მისდიონ კლოდ ბერნარის რჩევას, რომელიც მოცემულია მის დღემდე აქტუალურ ნაშრომში *ექსპერიმენტული მედიცინის შესავალი* (ერთად 1865). მათ შეუძლიათ დაიწყონ ერთ-ერთი საუკეთესო ინდიკატორით, რომელიც მოეპოვება შედარებით პოლიტიკას - წვრილი სასოფლო-სამეურნეო საკუთრება. ინდოელი გლეხი ღარიბია, მაგრამ ის მესაკუთრეა![2]

ტროპიკული აფრიკისა და სხვა მსგავსი რეგიონების გააზრებისას საქმეში უნდა ჩაერთოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და დემოგრაფია, თუკი ვინმე სემუელ ჰანტინგტონის დარად იკითხავს - რამდენი ქვეყანა გახდება დემოკრატიული? დამოკიდებულების თეორია შეიძლება გარკვეულწილად გამოსადეგი იყოს ლათინურ ამერიკასა და დასავლეთ ევროპასთან მიმართებაში, მაგრამ ის გაცილებით ნაკლებად ვარგისია ტროპიკული აფრიკისათვის. ტროპიკების ეკოლოგიური პარამეტრების შესახებ არსებული ლიტერატურა შეიძლება შევადაროთ ზომიერ კლიმატურ ზონებში ფლორისა და ფაუნის მონაცვლეობის შესახებ არსებულ ლიტერატურას. ალფრედ კროსბის მიერ 1986 წელს გამოცემული ნაშრომი *ეკოლოგიური იმპერიალიზმი: ევროპის ბიოლოგიური ექსპანსია 900-1900 წლებში* (ჩრდილ 1986) ახლებურად წარმოაჩენს ამერიკული ძლევამოსილების შექმნას. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო კომპარატივისტი ჩარლზ დარვინი დღეს ცოცხალი რომ ყოფილიყო, ის გააკრიტიკებდა მონოდისციპლინარიზმს, განსაკუთრებით უ.უ. როსტოუს, რომლის „ზრდის სტადიების“ თეორიაც არ

[2] მიწის მფლობელობის შესახებ იხ. ტატუ ვანჰანენის მიერ შეკრებილი მონაცემები.

აღიარებს ეკონომიკური ზრდის ფიზიკური ან ეკოლოგიური შეზღუდვების არსებობას.

ზ. შედარებითი პოლიტიკა, როგორც ჰიბრიდული სფერო

ჰიბრიდიზაციის პროცესი ვლინდება არა მხოლოდ ცნებების, თეორიებისა და მეთოდების გაცვლაში დისციპლინებსა და ქვესფეროებს შორის, ის ასევე მჟღავნდება ინფორმაციის, შინაარსის, ინდიკატორების, სტატისტიკური მონაცემებისა და ემპირიული კვლევის ყოველდღიური პრაქტიკის გაცვლაში. ეს გაცვლა ზოგიერთ დისციპლინაში ინტენსიურია, ზოგში კი ნაკლებობას განიცდის. სოციალური გეოგრაფია სესხულობს ინფორმაციას ფიზიკური გეოგრაფიისაგან, რომელიც, თავის მხრივ, სესხულობს მას გეოლოგიისაგან და არა პირიქით. პოლიტიკურ მეცნიერებებს უზარმაზარი „საგარეო ვალი“ მართებს, ვინაიდან პოლიტიკა ვერ აიხსნება მხოლოდ პოლიტიკით. პოლიტიკური ფენომენები არასდროს იქმნება *in vitro*, ხელოვნურად, ლაბორატორიაში. ეს პროცესები ყოველთვის დაკავშირებულია პოლიტიკის მიღმა არსებულ სხვადასხვა ფაქტორთან. ათეულობით არაპოლიტიკური ცვლადი გამოიყენება პოლიტიკის ასახსნელად. ეს ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია, რის გამოც პოლიტიკური მეცნიერება გადაჯაჭვულია სხვა სოციალურ მეცნიერებებთან.

სხვა სოციალურ მეცნიერებათა მიერ დაგროვილი ინფორმაციის მარაგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შედარებითი პოლიტიკის სფეროში, იმდენად, რომ შეიძლება ითქვას: სხვადასხვა ერთა შედარებაში აუცილებლად მონაწილეობს რამდენიმე დისციპლინა. 60-იანი წლები შედარებითი პოლიტიკის ისტორიაში იყო კოოპერაციისა და კონვერგენციის განსაკუთრებული პერიოდი. თხუთმეტი წლის განმავლობაში, 1958-1972 წლებში, გამოქვეყნდა ორმოცამდე მნიშვნელოვანი წიგნი და სტატია, რომლებსაც სამი საერთო მახასიათებელი ჰქონდა: შედარება რაოდენობრივი მაჩვე-

ნებლების მეშვეობით, ჰიბრიდიზაცია და დაგროვილი ცოდნა. „ასეთი კომბინაცია ადრე არასოდეს ყოფილა მიღწეული პოლიტიკური მეცნიერების ისტორიაში“ (ოგან 1994: 39). ეს გამორჩეული მომენტი ასევე ტოკვილის, ჯ.ს. მილის, მარქსის, სპენსერის, ვებერისა და პარეტოს სოციოლოგიური სტილის კლასიკური ევროპული კომპარატივიზმისგან განდგომის ნიშანიცაა.

ამ კონკრეტულ მომენტში სოციოლოგია აღარ იყო უმთავრესი სოციალურ მეცნიერებათა შორის. პირველად სოციალურ მეცნიერებათა ისტორიაში ეს ადგილი პოლიტიკურმა მეცნიერებამ დაიკავა. სოციალურ მეცნიერებათა ახალ თანავარსკვლავედში რამდენიმე მნათობი მოჩანს, რომელთა დასახელებაც ზედმეტია. ის, რაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ცოდნის დაგროვების პროცესია, რომელშიც ათეულობით სპეციალიზებულმა მკვლევარმა და ექსპერტმა მიიღო მონაწილეობა.

ევროპაში ტოტალიტარიზმის ბატონობის პერიოდში სოციალურ მეცნიერებათა დათრგუნვის შემდგომ (შცჰეუცჰ 1991), ვიდრე მის აღორძინებამდე შეერთებულ შტატებში, განგაში ატეხა როი მაკრიდისმა 1955 წელს შედარებითი პოლიტიკის შევიწროების გამო. დაახლოებით იმავე დროს (1954 წ.) გაეროს სტატისტიკურმა ბიურომ დაიწყო „სოციალური სტატისტიკის“ გამოქვეყნება. აქედან არც ერთი გამოშვება არ ყოფილა პოლიტიკური. ის შეიცავდა დემოგრაფიულ ცვლადებს, შემოსავლებს, ცხოვრების დონის სტანდარტს, სოციალურ მობილურობას, სანიტარულ მდგომარეობას, კვებას, საბინაო პირობებს, განათლებას, დასაქმებას, კრიმინალურ მდგომარეობას.

1957 წელს გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტმა დაიწყო ანგარიშების გამოქვეყნება *მსოფლიოში სოციალური მდგომარეობის შესახებ*. ამ პუბლიკაციის თავები, მიძღვნილი „სოციალური და ეკონომიკური განვითარების ურთიერთკავშირისა და ბალანსის პრობლემებისადმი“ (1961 წლის კრებული) ან „სოციალ-ეკონომიკური მოდელებისადმი” (1963 წლის კრებული) დღესაც ინტერესს იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ან-

ალიზში არ მოიპოვება შედარებითი პოლიტიკისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მონაცემები.

ამ სერიის გამოცემის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ გამოქვეყნდა ლიპსეტის *პოლიტიკური ადამიანი* (Lipset 1959), ორი ათწლეულის განმავლობაში პოლიტიკის მკვლევართა მიერ ყველაზე ხშირად ციტირებული წიგნი, თუმცა ეს წიგნი ბევრს სესხულობს სხვა სოციალური მეცნიერებებიდან და სულ მცირეს - პოლიტიკური მეცნიერებიდან. ერთი წლის შემდეგ კარლ დოიჩმა შექმნა თავის „მანიფესტი" (Deutsch 1960), რომელსაც რამდენიმე თვის შემდეგ მოჰყვა მისი კონსტრუქციული სტატია (Deutsch 1961). ორივე წერილი ეხება ინდიკატორებს, რომლებიც არაა უშუალოდ პოლიტიკური. მომდევნო წელს გამოქვეყნდა ფილიპ კატრაიტის (Cutright 1963) მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, რომელსაც დღევანდელი გადმოსახედიდან წინასწარმეტყველური შეიძლება ვუწოდოთ: ის იმ დროის ერთადერთი სტატიაა, რომელშიც უპირატესობა პოლიტიკურ ცვლადებს ენიჭება. იმავე წელს არტურ ბენქსი და რობერტ ტექსტორი აქვეყნებენ ნაშრომს *კროსპოლიტიკური მიმოხილვა* (Banks and Textor 1963), რომელშიც შემოთავაზებული და გაანალიზებული 57 ცვლადიდან უმრავლესობა არ არის პოლიტიკური. *პოლიტიკური და სოციალური ინდიკატორების მსოფლიო ცნობარში* (I გამ. იხ. Russett *et al.* 1965), რომელიც მალევე დაიბეჭდა, განხილულია 75 ცვლადი. მათგან მხოლოდ თორმეტია წმინდა პოლიტიკური და კიდევ 8 - ეკონომიკურ-პოლიტიკური.

ერთი წლით შემდეგ გ. ალმონდმა და ჯ. ბინგჰემ პაუელმა გამოაქვეყნეს ფუნდამენტური ნაშრომი შედარებითი პოლიტიკა (Almond and Powell 1966), რომლის საფუძველში გამოსჭვივის რამდენიმე სოციალური მეცნიერება, განსაკუთრებით, სოციალური ანთროპოლოგია. ამ მომენტიდან საერთაშორისო შედარების სფერო ორი მიმართულებით ვითარდება. ერთი მიმართულების წარმომადგენლები განაგრძობენ რაოდენობრივ კვლევას და „დემოკრატიის კორელაციის" ანალიზისას მუდმივად იყენებენ არაპოლიტიკურ ფაქტორებს. ბოლო დროს მნიშვნელოვანი წვლილი ამ საქმეში კვლავ შეიტანა გაეროს განვითარების პროგრამამ *ჰუმანიტარუ-*

ლი განვითარების ანგარიშის (*Human Development Report*, 1990 ეტსექ.) გამოქვეყნებით. ამ პუბლიკაციებში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებელი შეცვლილია და ჩანაცვლებულია ახალი ინდიკატორით, მსყიდველობითი უნარის პარიტეტით.

მეორე მიმართულება უპირატესობას ანიჭებს სექტორულ შედარებას. მაგალითად, პოლიტიკური განვითარების რვატომეული (პრინსტონის უნივერსიტეტის გამოცემა), რომელშიც პოლიტიკა ძირითადად განიხილება, როგორც არაპოლიტიკური ფაქტორებით ახსნილი დამოკიდებული ცვლადი. გამოქვეყნებულია აგრეთვე „პოლიტიკური განვითარების“ სკოლის რამდენიმე კარგი მიმოხილვა (ფინდ 1990; ჭ ალდ 1989). დღეისათვის ამ სკოლამ, როგორც ჩანს ამოწურა საკუთარი შესაძლებლობები და თემები. ეს კარგი მაგალითია სპეციალობების სიჭარბით გამორჩეული სფეროებისა, რომლებიც პროდუქტიული პერიოდის შემდეგ დაღმავლობას განიცდიან. „რაც უფრო მეტია მოცემულ სფეროში მკვლევართა რაოდენობა, მით ნაკლები ინოვაციაა მოსალოდნელი თითოეული მათგანისაგან (ოგან ანდ აპრ 1990: 36). „სიჭარბის პარადოქსი“ ამცირებს შემოქმედებით საწყისს მკვლევართა სიმრავლის ზრდის პროპორციულად.

უკანასკნელ პერიოდში, შედარებითი პოლიტიკის სფერო გაფართოვდა ყველა მიმართულებით და შეიჭრა სხვა დისციპლინების ტერიტორიაზე: დემოკრატიაზე გადასვლა, ღირებულებები და წარმოდგენები, ნდობის კრიზისი, საჯარო მოხელეთა კორუფცია, უმართავობა, ზრდის ლიმიტები და ა.შ. (ამ ახალ მიმართულებებზე ვიასაუბრებთ წინამდებარე წიგნის სხვა თავებში). ხდება თუ არა შედარებითი პოლიტიკური მეცნიერების სფერო იმპერიალისტური?

როგორც ვხედავთ, შედარებითი პოლიტიკა არ გულისხმობს მხოლოდ კროსნაციონალურ ანალიზს. უდავოა, რომ ის დისციპლინებსაც უნდა მსჭვალავდეს, ვინაიდან შედარებით კვლევაში ჩვენ ვკვეთთ ერთეულებს (სახელმწიფოებს) და ცვლადებს (რაოდენობრივს თუ ნომინალურს). როგორც წესი, ცვლადების რაოდენო-

ბა აღემატება ერთეულებისას. ცვლადთა ურთიერთმიმართება ხშირად უფრო მნიშვნელოვანია თეორიული ახსნისათვის, ვიდრე ერთა შორის ანალოგიებისა და განსხვავებების აღმოჩენა.

შედარებით პოლიტიკაში, კონსტიტუციური საკითხების გარდა, არ არსებობს არც ერთი მნიშვნელოვანი წიგნი, რომელიც ეცდებოდა აეხსნა პოლიტიკა წმინდა პოლიტიკური ცვლადების მეშვეობით. თუმცა, რა თქმა უნდა, ჰიბრიდიზაციის დონე მერყეობს კვლევის საკითხებისა და იმის შესაბამისად, თუ რამდენად აქვთ უნარი ავტორებს დაემორჩილონ იმას, რაც საყოველთაოდ მისაღებია. მაგალითად, პოლიტიკური სისტემების შედარებისას ისეთ ავტორებს, როგორებიც არიან კლაუს ფონ ბეიმე ან ჯოვანი სარტორი, არ სჭირდებათ სოციალურ სტრუქტურებზე ან კულტურულ განსხვავებებზე ვრცელი მსჯელობა. პირიქით, არენდ ლიეპჰარტსა (კონსტიტუციური დემოკრატიების შედარებისას) და რონალდ ინგლეჰარტს (წარმოდგენათა და ღირებულებათა ანალიზისას) უწევთ სოციალური, რელიგიური, ლინგვისტური და ისტორიული ცვლადების მნიშვნელობის აქცენტირება. ამ შემთხვევაში ლიეპჰარტი და ინგლეჰარტი კვეთენ დისციპლინურ საზღვრებს უფრო მეტად, ვიდრე ფონ ბეიმე და სარტორი.

დისციპლინების გამჭოლი შედარებითი პოლიტიკური მეცნიერება, უპირველეს ყოვლისა, ისტორიის კვეთას ნიშნავს. შედარებითი ისტორიისა და შედარებითი პოლიტიკის ურთიერთმიმართება ვრცელი მსჯელობის საგანია. აქ საკმარისია აღინიშნოს, რომ ორი ქვესფეროს ურთიერთანამშრომლობა არ მოიცავს სრულად გამყოფ ხაზს, არამედ მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთებს და, როგორც წესი, სხვა ჰიბრიდულ სფეროებს: ისტორიულ სოციოლოგიას, სოციალურ ისტორიას, ეკონომიკურ ისტორიას, კულტურის ისტორიას, ასინქრონულ შედარებებს. უმნიშვნელოვანეს ნაშრომთა გარკვეული ნაწილი, რომელიც დაწერილია შედარებითი პოლიტიკის სფეროში, განეკუთვნება ამ „დაწყვილებულ ისტორიას“. ასეთებია, მაგალითად, დიუმონის *Homo Hierachicus* (უმ ონ1966), ბაიროხის *იერიქონიდან მეხიკომდე, ქალაქები და ეკონომიკა ისტორიაში* (ა ოკ 1988), ვიტფოგელის *აღმოსავლური დესპოტიზმი*

(ჭ �el 1957), ვალერსტაინის *თანამედროვე მსოფლიო სისტემა* (ჭ alerstein 1974), ლიპსეტის *პირველი ახალი ერი* (ipset 1979), ბენდიქსის *მეფეები ან ხალხები* (endix 1978). თუმცა ღიმილისმომგვრელია ის, რომ არც ერთი ამ ავტორთაგან, ვისაც გარკვეული წვლილი მიუძღვის შედარებით პოლიტიკასა და დაწყვილებულ ისტორიაში, არც პოლიტოლოგია და არც ისტორიკოსი. ფორმალურ-დისციპლინური მიკუთვნებულობის თვალსაზრისით, ისინი სოციოლოგები არიან.

IV დასკვნა

ერთსა და იმავე ფენომენს სხვადასხვა დისციპლინა სხვადასხვა კუთხით შეიძლება განიხილავდეს. ამას ითვალისწინებს დისციპლინათა შორის ტერიტორიების გადანაწილება. საპირისპიროდ ამისა, ჰიბრიდიზაცია გულისხმობს დისციპლინათა სეგმენტების თანხვედრას, სპეციალიზებულ სფეროებში ცოდნის რეკომბინირებას. პოლიტიკური მეცნიერების სხვადასხვა სექტორში ინოვაცია დიდად არის დამოკიდებული სამეცნიერო გაცვლაზე სხვა სფეროებთან. პოლიტიკური მეცნიერების პირამიდის უმაღლეს დონეზე გამოკვლევათა უმრავლესობა ჰიბრიდულ სუბდისციპლინას განეკუთვნება: პოლიტიკურ სოციოლოგიას, პოლიტიკურ ეკონომიას, პოლიტიკურ ფსიქოლოგიას, პოლიტიკურ ფილოსოფიას, პოლიტიკურ გეოგრაფიას, საჯარო ადმინისტრირებას, რეგიონების კვლევას და ა.შ. იმავდროულად ისინი შეიძლება მიეკუთვნებოდნენ ჰიბრიდულ სფეროსა თუ ქვესფეროს: მასობრივ ქცევას (დაკავშირებულია სოციალურ ფსიქოლოგიასთან), ელიტების ჩამოყალიბებას (დაკავშირებულია სოციოლოგიასთან და ისტორიასთან), ურბანულ პოლიტიკას (დაკავშირებულია სოციალურ გეოგრაფიასთან), საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს (დაკავშირებულია სოციალურ ეკონომიასთან და სოციალურ ისტორიასთან), ღირებულებებს (კავშირშია ფილოსოფიასთან, ეთიკასა და სოციალურ ფსიქოლოგიასთან), მმართველობის შესაძლებლობებს (დაკავშირებულია

სამართალთან და ეკონომიკასთან), ტროპიკულ ქვეყნებში სიღარიბეს (დაკავშირებულია აგრონომიასთან, კლიმატოლოგიასთან და ეკონომიკურ გეოგრაფიასთან), განვითარებას (დაკავშირებულია ყველა სოციალურ მეცნიერებასთან და ზოგიერთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებასთან).

რომელიმე ერთი სფეროს გარე კონტაქტები შესაძლოა ისეთივეა, როგორც მიმართება შიდა ქვესფეროებთან. მაგალითად, პოლიტიკის ფსიქოლოგს, რომელიც იკვლევს საპროტესტო მოძრაობებსა და გაუცხოებას, ნაკლებად აქვს კავშირი კოლეგებთან, ვინც იყენებს თამაშის თეორიას იმავე თემის შესასწავლად. მან შეიძლება საერთო ინტელექტუალური საფუძველი გამონახოს სოციალურ ისტორიკოსთან, ვინც სწავლობს მოვლენებს წარსულში, ან სოციოლოგთან, ვინც იკვლევს უმუშევრობისა და იმიგრაციის გავლენას ძალადობაზე და კანონის შესუსტებაზე ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. ერთმანეთთან ურთიერთობა არა აქვს ორ პოლიტოლოგს, რომელიც აანალიზებს სოციალური უსაფრთხოების სისტემის კრიზისს, ერთი - აბსტრაქტული მოდელირების მეშვეობით, მეორე კი - ჩვეულებრივი ენით. პირველი კავშირს ამყარებს მეცნიერ ეკონომისტებთან, ვინც თავის დარგში იყენებს მოდელირებას, მეორე კი იშველიებს სხვა დისციპლინათა წარმომადგენლების ნაშრომებს.

ყველა ძირითადი საკითხი კვეთს დისციპლინების ფორმალურ საზღვრებს: დემოკრატიის კრახი, ანარქია, ომი და მშვიდობა, თაობების ცვლა, ურთიერთკავშირი თავისუფლება-თანასწორობა, ინდივიდუალიზმი განვითარებულ საზოგადოებებში, ფუნდამენტალიზმი ტრადიციულ საზოგადოებებში, მმართველი კლასი, საზოგადოებრივი აზრი. სპეციალისტთა უმრავლესობა არ არის მოქცეული ე.წ. დისციპლინის ბირთვში. მათ ადგილი უკავიათ დისციპლინის გარე წრეზე და კონტაქტში შედიან სხვა დისციპლინების სპეციალისტებთან. აღებ-მიცემა საზღვარზე ხდება.

ისინი ჰიბრიდული მკვლევრები არიან. „ზოგად“ პოლიტოლოგთა რიცხვი სწრაფად მცირდება. ყველა ავლენს მიდრეკილებას ერთ ან რამდენიმე სფეროში სპეციალიზაციისაკენ. როცა ორი პოლიტიკის მკვლევარი პირველად ხვდება ერთმანეთს, სპონტანური

შეკითხვა, რომელსაც ისინი სვამენ, მდგომარეობს შემდეგში: „რას მოიცავს შენი სფერო?“ ეს ეხება სხვა დისციპლინებსაც. პროფესიულ კონგრესზე მკვლევრები იკრიბებიან სპეციალობების მიხედვით. კონგრესი, რომელიც თავს უყრის უამრავ ადამიანს, რომელთაც ცოტა რამ აქვთ საერთო, გაუმართლებლად ხარჯავს დიდ ენერგიას. ეს ენერგია უმჯობესია მოხმარდეს სფეროთა მიხედვით შეხვედრების ორგანიზებას სხვადასხვა დისციპლინათა სპეციალისტების თავშესაყრელად.

დავუშვათ, რომ შესაძლებელია სხვადასხვა ქვეყნის ყველა პოლიტოლოგიდან ხუთასი ან ექვასი მეცნიერის ამორჩევა, რომელნიც ყველაზე შემოქმედებით კვლევას ეწევიან, ცოდნას ავითარებენ, არიან ყველაზე სახელგანთქმულნი. წარმოვიდგინოთ შემდგომ, რომ ჩვენ გამოვრიცხეთ ამ ზედაფენიდან ის მეცნიერები, რომლებიც სპეციალიზდებიან საკუთარი ქვეყნის კონსტიტუციური საკითხებისა და მმართველობის პროცესების კვლევებში, რომელთაგან ზოგიერთი ცნობილია მის სფეროში. ამ ორმაგი გადარჩევით ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ მეცნიერთა ამ კორპუსში უმრავლესობა არ არის „წმინდა“ პოლიტოლოგი. ისინი სპეციალისტები არიან კვლევის სფეროში, რომელიც არ არის მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური. ის, ვინც იკეტება პოლიტიკური მეცნიერების ტრადიციულ ჩარჩოებში, ავიწროებს საკუთარ თვალსაწიერს და ამცირებს საკუთარ ნოვატორულ შესაძლებლობას. გამონაკლისია კონსტიტუციური საკითხებისა და სახელმწიფო აპარატის ორგანიზების სფერო.

მეორე უკიდურესობაა ენთუზიასტი იმიტატორები. ზოგიერთ სფეროში სესხება იღებს უბრალო იმიტაციის და არასაკმარისად შემოქმედებითი შეთვისების სახეს. რომ შეიძლებოდეს სხვადასხვა ქვესფეროსათვის ეკლექტიზმის სკალაზე ნიშნულის მიჩენა, აღმოჩნდებოდა, რომ რთული სტატისტიკური ანალიზი და ეკონომიკური ევრისტიკული ვარაუდები ორი ყველაზე იმიტატორული სკოლაა. ზემოთ უკვე ვახსენე რაოდენობრივი მეთოდებით ზედმეტად გატაცებული მეცნიერები, ახლა კი მოვიშველიებ ნეილ ჯ. სმელზერის, ეკონომიკური სოციოლოგიის სპეციალისტის ეკონომ-

იკურ მოდელირებასთან დაკავშირებით გამოთქმულ სოლომონისეულ სიბრძნეს: „ენტონი დაუნსის პოლიტიკური ქცევის მოდელი ახდენს ეკონომიკური თეორიის იმიტირებას პოლიტიკური რაციონალურობის ვერსიის პოსტულირებით და ამ და სხვა გამარტივებულ ვარაუდებზე პოლიტიკური პროცესების თეორიის აგებით“ (შმ ეფერ 1967: 26).

პოლიტიკური მეცნიერება ვითარდება სხვა სოციალურ მეცნიერებებთან სიმბიოზში. ის მომავალშიც შემოქმედებითი მეცნიერება იქნება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეინარჩუნებს ექსტროვერტულობას. სინამდველში მეცნიერების ამ დარგს არა აქვს არჩევანი, ვინაიდან ის გენეტიკურადაა დაპროგრამებული, შვას შთამომავლობა, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ილაპარაკებენ და, როგორც ალმონდი ამბობს, „სხვადასხვა მაგიდას“ მიუსხდებიან. ეს მაგიდები დაშორებულია ერთმანეთს, რადგან ისინი მოთავსებულია დისციპლინათა გადაკვეთის ადგილზე, პოლიტიკური მეცნიერებისგან ძალზე მოშორებით.